პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 256 (10342) | პარასკევი, 28 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

მუშებო, კოლმეურნეებო, საბჭოთა ინტელიგენციავ! ღირსეულად შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას ახალი შრომითი წარმატებებით შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის).

## საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის!

დღეს ჟენევაში იხსნება საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც მოწვეულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის დირექტივების შესაბამისად.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო, რადგან იგი მოასწავებდა მობრუნებას სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთობაში. ჟენევაში „ძალის პოზიციის" და „ცივი ომის" პოლიტიკა განზე გადაიდო. თათბირმა ხელი შეუწყო ნდობის განმტკიცებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში, დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ვითარებაში, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის განმტკიცებას. გაჩნდა „ჟენევის სულისკვეთება" — საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

იხელმძღვანელებენ რა ჟენევის თათბირის დირექტივებით, საგარეო საქმეთა მინისტრებმა უნდა განაგრძონ ის მუშაობა, რომელიც დაიწყეს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა მიმდინარე წლის ივლისში, და ეს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჟენევის ახლანდელ თათბირს.

**„ჟენევის სულისკვეთების" განმტკიცება და განვითარება, საერთაშორისო მოუწესრიგებელი პრობლემების გადაჭრის გზების გამონახვა სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და მშვიდობის საქმის განმტკიცების ინტერესებისათვის — ასეთია ამოცანა, რომელიც დგას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის წინაშე.**

ამ ამოცანის გადაჭრის გზაზე ბევრი ხელსაყრელი შესაძლებლობაა, არის გარკვეული სიძნელეებიც.

სამმა თვემ, რაც ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შემდეგ გავიდა, დაგვანახვა, რომ „ჟენევის სულისკვეთებას" მხარს უჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

„ჟენევის სულისკვეთების", მშვიდობის ინტერესებისათვის სახელმწიფოთა თანამშრომლობის სულისკვეთების ნაყოფიერი განვითარების მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ამბები, რომელთა ცენტრი, საერთო აღიარებით, მოსკოვი იყო.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით საბჭოთა კავშირმა მასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ. ორივე ეს ღონისძიება დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო გერმანიის პრობლემის გადაჭრის საქმეში რეალურად არსებული მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების განგრძობამ და ფინეთისათვის პორკალა-უდის გამაგრებული რაიონის გადაცემამ იჯარის ვადის გასვლამდე დიდი ხნით ადრე ხელი შეუწყეს საბჭოთა კავშირისა და მისი ჩრდილოეთელი მეზობლის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი განიარაღების პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრის ინტერესებისათვის.

ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერისადმი, რომელიც შეიცავდა კონკრეტულ წინადადებებს განიარაღების პრობლემებზე. საბჭოთა საზოგადოებრიობამ კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ დ. ეიზენჰაუერმა თავის პასუხში ნ. ა. ბულგანინის წერილზე გამოთქვა კეთილსასურველი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობის წინადადებისადმი საკონტროლო პოსტების მოწყობის შესახებ, რომელთა მიზანი იქნება ერთი ქვეყნის მეორე ქვეყანაზე თავდასხმის თავიდან აცილება.

საბჭოთა წინადადებანი განიარაღების შესახებ განმტკიცებულია კონკრეტული საქმეებით. საბჭოთა კავშირმა ვადაზე ადრე გამოიყვანა ჯარები ავსტრიიდან და მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები.

„ჟენევის სულისკვეთების" განვითარების საქმეში სერიოზული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სულ უფრო იზრდება საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა სსრ კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის, რომ ფართოვდება საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, ვითარდება ტურიზმი.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და „ჟენევის სულისკვეთების" განმტკიცების იმავე ინტერესებით იყო ნაკარნახევი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკური ნაბიჯები, როცა იგი განაგრძობდა ღონისძიებებს იმ მხრივ, რომ მოეწესრიგებინა გადაუწყვეტელი საკითხები ამერიკის შეერთებულ შტატებთან, განემტკიცებინა მშვიდობა და უშიშროება შორეულ აღმოსავლეთში. პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, ალბანეთმა შეამცირეს თავიანთი შეიარაღებული ძალები. ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია არაერთგზის გამოვიდნენ იმ საომარი მზადების წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებს სამხედრო ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მშვიდობის განმტკიცების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს იუგოსლავიამ და სხვა ქვეყნებმა.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა არ გვეთქვა, რომ დღემდე, სამწუხაროდ, საყოველთაო არ გამხდარა მისწრაფება საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისადმი. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთელი რიგი მოღვაწეების მიერ გულახდილად გამოთქმული აზრები მოწმობენ, რომ ამ სახელმწიფოთა გარკვეულმა წრეებმა ჯერ კიდევ ვერ დააღწიეს თავი მავნე ილუზიებს და დღემდე ფიქრობენ, რომ მათ წინაშე დასახული მიზნების მიღწევას შეძლებენ „ძალის პოზიციის" პოლიტიკის დახმარებით.

ამგვარი პოზიცია იმას მოწმობს, რომ ზოგმა ვინმემ დაკარგა რეალობის გრძნობა: მათ არა სურთ ანგარიში გაუწიონ იმას, რომ „ძალის პოზიციის" პოლიტიკას არასოდეს მარცხის მეტი არაფერი მოუტანია მისი აპოლოგეტებისათვის. ამ პოლიტიკის უნაყოფობა და მავნეობა თვით ცხოვრებამ დაამტკიცა.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირმა უნდა განიხილოს ეფექტიანი ღონისძიებანი დიდი საერთაშორისო პრობლემების გადასაჭრელად.

ევროპის, და არა მარტო ევროპის, ხალხებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სრულიად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხს. საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ ევროპის სახელმწიფოთა ნამდვილი უშიშროება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას და კიდევაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო მოეღება სამხედრო დაჯგუფებათა პოლიტიკას, როცა ევროპის ყველა სახელმწიფო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

როგორც ჟენევის თათბირის დირექტივებშია აღნიშნული, ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურები „შეთანხმდნენ, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრა და გერმანიის გაერთიანება თავისუფალი არჩევნების საშუალებით უნდა განხორციელდეს გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისად". აქედან ჩანს, რომ გერმანიის გაერთიანება პირდაპირ დამოკიდებულია სრულიად ევროპის უშიშროების პრობლემის გადაჭრაზე.

მით უფრო დიდ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ზოგიერთი წარმომადგენელი ახლა ცდილობს საქმე ისე შეატრიალოს, თითქოს, პირიქით, უშიშროების პრობლემის გადაჭრა დამოკიდებული იყოს გერმანიის პრობლემის გადაჭრაზე. საკითხის ასე დაყენება აშკარად ეწინააღმდეგება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივებს საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი და ვერ უძლებს კრიტიკას.

გერმანიის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ რეალური ვითარების გათვალისწინების საფუძველზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის თანამშრომლობისა და მათი ისეთი დაახლოების გზით, რომელიც მშვიდობისა და პროგრესის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა.

ევროპის უშიშროების საკითხისა და გერმანიის საკითხის წარმატებით მოწესრიგებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არსებით პროგრესს განიარაღების პრობლემის გადაჭრაში. ცნობილია, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციები ერთიმეორეს ემთხვევა ამ პრობლემის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ასპექტებში და რომ მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მეცადინეობამ შეუშალა ხელი იმას, რომ მიღწეული ყოფილიყო პროგრესი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მუშაობაში. ხალხთა სინდისის წინააღმდეგ დანაშაული იქნებოდა, რომ არ უზრუნველვყოთ ისეთ შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევა, რომელთა ღირებულება მშვიდობის საქმისათვის ჭეშმარიტად უდიდესი იქნებოდა.

უეჭველია დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხი გადაწყდეს ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის. ამ დარგში ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ როდი შეესაბამება შესაძლებლობებს.

შეიძლება თუ არა დადებითად გადაიჭრას საკითხები, რომლებიც შეტანილია საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღის წესრიგში? დიახ, ამ საკითხების დადებითად გადაჭრა შეიძლება გამოინახოს და უნდა გამოინახოს, თუმცა ამისათვის საჭირო გახდება გარკვეულ სიძნელეთა გადალახვა. წინა მოლაპარაკებათა მსვლელობაში, უმთავრესად ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის მსვლელობაში, განისაზღვრა დიდმნიშვნელოვანი ამოსავალი პოზიციები, რომლებიც რეალურ შესაძლებლობას იძლევიან მივაღწიოთ გადაუწყვეტელ საერთაშორისო საკითხებზე თვალსაზრისთა შემდგომ დაახლოებას.

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი იმ ამოცანებს, რომლებიც მას ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა დაუსახა, შეასრულებს, თუ დაადგება „ჟენევის სულისკვეთების" განმტკიცებისა და განვითარების გზას, თუ ყველა მისი მონაწილე ჯეროვნად ეცდება გამონახოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, რომლებიც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის განმტკიცების ინტერესების შესაბამისი იქნება.

„პრავდის" 27-X მოწინავე.

## ყურძნის ჩაბარების გეგმები შეასრულეს

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება — სახელმწიფოს ჩააბარეს 1.064 ტონა ყურძენი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 800 ტონისა.

* * *

ამბროლაურის რაიონმა 27 ოქტომბრისათვის შეასრულა ყურძნის ჩაბარების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 2.408 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.400 ტონისა.

## ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან

იალტა, 26 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ა. ი. მიქოიანმა, ა. ი. კირიჩენკომ.

საუბარს დაესწრნენ: ბირმის მხრივ — ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი და ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი; საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა გაცვლა სხვადასხვა საკითხზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად

იალტა, 26 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პატივსაცემად.

სადილზე ბირმის მხრივ იყვნენ პრემიერ-მინისტრი უ ნუ, მისი მეუღლე დო მია ი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი და მისი მეუღლე ქ-ნი ჩინი, პრემიერ-მინისტრის მდივანი უ ტანი, პოლკოვნიკი აუნგ ჯი, აგრეთვე თანმხლები პირები უ ხლა და უ ნვე.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. ი. მიქოიანი, ა. ი. კირიჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ს. სენინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმის კავშირში ა. დ. შჩიბორინი, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ა. სლიპჩენკო, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. პ. სურკინი, ყირიმის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე მ. გ. კუზმენკო, უკრაინის კომპარტიის იალტის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. ფ. მედუნოვი, იალტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მ. ტარასოვა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სადილმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

## სახელმწიფო გეგმების შესრულება

**ახალციხის რაიონის** კოლმეურნეობებმა პირუტყვის სადგომებისა და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის წლიური გეგმები შეასრულეს.

**ლანჩხუთის რაიონის** კოლმეურნეობებმა 20 ოქტომბრისათვის შეასრულეს კურკოვანი და თესლოვანი ხილის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ხილის დამზადება გრძელდება.

**მახარაძის რაიონის** კოლმეურნეობებმა 23 ოქტომბრისათვის შეასრულეს მტს-ების ანგარიშების მიხედვით სიმინდის ნატურანაზღაურების გეგმა.

**ცხაკაიას რაიონის** კოლმეურნეობებმა 25 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მტს-ების ანგარიშების მიხედვით სიმინდის ნატურანაზღაურების გეგმა.

**აბაშის რაიონის** კოლმეურნეობებმა 20 ოქტომბრისათვის 111,5 პროცენტით შეასრულეს გერანისა და რეჰანის მწვანე მასის დამზადების გეგმა.

## სსრ კავშირის ორდენების გადაცემა

26 ოქტომბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა სსრ კავშირის ორდენები გადასცა დაჯილდოებულთა ჯგუფს.

ლენინის ორდენები გადაეცათ პ. ი. ანტროპოვს — სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღთა დაცვის მინისტრს, ა. ა. იშკოვს — სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრს და დ. ვ. პავლოვს — სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრს, რომლებიც დაჯილდოებული არიან დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის; ა. ი. მიქოიანს — თვითმფრინავების მთავარ კონსტრუქტორს, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და ახალი საავიაციო ტექნიკის შექმნის საქმეში დამსახურებისათვის; ვ. ზ. ლებედევს — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ფინეთში; პ. ა. ბლიახინს, პ. ი. ვოზნიაკოვას და ტ. ს. კრივოვს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

შრომის წითელი დროშის ორდენები გადაეცათ სსრ კავშირის სახალხო არტისტს მ. ო. რეიზენს, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით და ვოკალური ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის; ს. ა. ბორისოვს — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილეს, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და საგარეო ვაჭრობის განვითარების დარგში დამსახურებისათვის; ლ. ნ. ზარხატოვას, ე. ნ. ვანეევას და ი. ი. დახნოს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

„საპატიო ნიშნის" ორდენები გადაეცათ ს. პ. კირსანოვს — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ნიდერლანდში და დ. ს. ჩუვახინს — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს კანადაში.

ამავე დროს კ. ე. ვოროშილოვმა პ. თ. ჟიგარევს გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი ავიაციის მთავარი მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით პარტიასა და მთავრობას მადლობა გადაუხადეს დ. ვ. პავლოვმა და მ. ო. რეიზენმა.

კ. ე. ვოროშილოვმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა მათ ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებანი მუშაობაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ორდენების გადაცემას დაესწრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი.

## მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმების შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

(1955 წლის 20 ოქტომბრის ცნობებით)

### ხორცი

#### წინ მიდიან

| რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|
| გარდაბნის | 83,8 | გურჯაანის | 82,1 |
| დმანისის | 83,2 | მახარაძის | 80,5 |
| ახალქალაქის | 82,2 | ბოგდანოვკის | 80,1 |
| წითელწყაროს | 82,1 | | |

#### ჩამორჩებიან

| რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|
| მაიაკოვსკის | 54,2 | აბაშის | 60,0 |
| ზესტაფონის | 54,5 | ორჯონიკიძის | 60,7 |
| კასპის | 54,8 | ჩოხატაურის | 60,9 |
| საგარეჯოს | 58,7 | კაჭრეთის | 60,9 |
| თერჯოლის | 59,1 | ქუთაისის | 61,3 |
| ტყიბულის | 59,9 | ცხაკაიას | 61,3 |

### რძე

#### წინ მიდიან

| რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|
| ასპინძის | 118,0 | გარდაბნის | 94,8 |
| გარეუბნის | 104,6 | თეთრი წყაროს | 94,8 |
| გურჯაანის | 99,7 | დმანისის | 94,8 |
| ლენტეხის | 99,0 | ახალქალაქის | 94,5 |
| წალენჯიხის | 97,0 | მახარაძის | 94,0 |
| ონის | 96,0 | აჭარის ასსრ | 92,1 |

#### ჩამორჩებიან

| რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|
| ზესტაფონის | 51,1 | ხობის | 68,0 |
| ფოთის | 59,9 | საჩხერის | 69,1 |
| ცხაკაიას | 61,4 | თერჯოლის | 69,8 |
| წულუკიძის | 63,2 | ხაშურის | 70,8 |
| ჭიათურის | 63,7 | ზუგდიდის | 71,7 |
| კასპის | 65,2 | ჩხოროწყუს | 72,2 |
| აბაშის | 65,0 | აფხაზეთის ასსრ | 72,6 |
| ქარელის | 67,4 | | |

### კვერცხი

#### წლიური გეგმები შეასრულეს

| | | | |
|---|---|---|---|
| წყალტუბოს | 127,2 | ბოგდანოვკის | 115,4 |
| წითელწყაროს | 123,0 | ახალქალაქის | 104,8 |
| ახალციხის | 122,9 | კასპის | 101,9 |
| ასპინძის | 116,4 | ადიგენის | 100,6 |

#### ჩამორჩებიან

| | | | |
|---|---|---|---|
| ჭიათურის | 56,0 | ქარელის | 66,4 |
| ზესტაფონის | 59,4 | კაჭრეთის | 67,3 |
| ვანის | 61,8 | ლანჩხუთის | 69,3 |
| თერჯოლის | 63,3 | ტყიბულის | 69,3 |
| ხობის | 63,8 | | |

*საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში*

## რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის საკითხი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები მიმდინარეობს ძირითადად ორგანიზებულად, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გაშლილი კრიტიკის ვითარებაში, შინაპარტიული დემოკრატიის დაცვით.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანები, რომელთა მიზანია ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის, სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა.

ანგარიშგება და არჩევნები უკვე ჩატარდა რესპუბლიკის პირველადი ორგანიზაციების 50 პროცენტში. მათ ესწრებოდა ამ ორგანიზაციებში აღრიცხვაზე მყოფი კომუნისტების 88,5 პროცენტი. კრებებზე დამსწრეთა 37 პროცენტმა მონაწილეობა მიიღო კამათში. ბევრ პარტორგანიზაციაში მდივნებად პირველად არიან არჩეული ახალგაზრდა პარტიული მუშაკები.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ საქართველოს კპ ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტის მხრივ ანგარიშგება-არჩევნებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობის შედეგად მთელ რიგ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა დაბალ იდეურ დონეზე, იყო „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევები, გაშლილი არ იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ამბროლაურის, სამტრედიის, ხულოს რაიონების და ქალაქ თბილისის ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო მოხსენებები ნაჩქარევად იყო შედგენილი და არსებითად არ შეიცავდა ორგანიზაციების მუშაობის ანალიზს, არ ამხილებდა ნაკლოვანებებს და არ სახავდა მათი გამოსწორების გზებს.

ქალაქ ჭიათურაში და ჯავის რაიონში არ ჩატარებულა საკმაო მოსამზადებელი მუშაობა, რის შედეგადაც იყო საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩაშლის შემთხვევები.

ამბროლაურის რაიონის კრიხის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციაში, სადაც აღრიცხვაზეა 13 კომუნისტი, დამთვლელი კომისია არ აურჩევიათ, ხმების დათვლა კრების თავმჯდომარეს დაევალა. გუდაუთის რაიონის სოფელ ბარმიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციაში რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატად არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი.

იყო შინაპარტიული დემოკრატიის უხეშად დარღვევის შემთხვევები, როცა, მაგალითად, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე მიმაგრებულ ამხანაგებს ყველა კანდიდატურის წინასწარ მომზადებულ სახელობითს სიას აძლევდნენ.

მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ოქმები გაფორმებულია დაუდევრად, საანგარიშო მოხსენებების გამო მიღებული გადაწყვეტილებანი არაკონკრეტულია.

ბოლნისისა და ორჯონიკიძის რაიონების პირველადი პარტორგანიზაციების ზოგიერთ კრებაზე ფარული (საიდუმლო) კენჭისყრის დროს ადგილი ჰქონდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის დარღვევებს, შეცდომებს, გამოტოვებას ბიულეტენებში, მათ არასწორად გაცემას და სხვ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების მსვლელობაში გამოვლინებული ნაკლოვანებანი შედეგია უყურადღებობისა და არაოპერატიულობისა, რასაც იჩენენ საქართველოს კპ მთელი რიგი რაიკომები, რომლებიც ჯერ კიდევ სათანადო დახმარებას არ უწევენ პირველადს ორგანიზაციებს. წარმომადგენლები, რომლებიც გამოყოფილი არიან პირველადი ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად, ხშირად თავიანთ როლს ამოწურავენ კრებებზე ფორმალური დასწრებით და არ გრძნობენ პასუხისმგებლობას კრებების მომზადებისა და წარმატებით ჩატარებისათვის.

რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე საკმაოდ არ შუქდება საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობა. ანგარიშგება-არჩევნების დღეებში გამოქვეყნებულ მასალებში არ არის სათანადო სიმახვილე, საკმაოდ არ არის მხილებული მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ წინადადება მისცა საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გააძლიერონ პირველადს ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნებისადმი ხელმძღვანელობა, არ დაუშვან უყურადღებო დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიისადმი, მომავალში უზრუნველყონ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილება და თვითეული საანგარიშო-საარჩევნო კრების მაღალ დონეზე ჩატარება.

პარტიულ კომიტეტებს ევალებათ კონკრეტული ოპერატიული დახმარება გაუწიონ პირველადს ორგანიზაციებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებასა და ჩატარებაში, აამაღლონ ამ მიზნით გამოყოფილი ამხანაგების პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ საანგარიშო მოხსენებების და გადაწყვეტილებათა პროექტების, აგრეთვე ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიების სათანადოდ და დროულად მომზადება.

უზრუნველყოფილ იქნას საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარება შინაპარტიული დემოკრატიის სრული დაცვით, კომუნისტების მაღალი აქტივობით. საჭიროა კრებებზე გაბედულად მხილებულ იქნას ნაკლოვანებები, ფართოდ გაიშალოს პრინციპული, მწვავე კრიტიკა, მიუხედავად პიროვნებისა, და თვითკრიტიკა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ წინადადება მისცა გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქციებს მომავალში უფრო ფართოდ და მახვილად გააშუქონ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა, გაბედულად ამხილონ არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დარღვევები, რომლებიც დადგენილებაში აღნიშნული, უკვე გამოსწორებულია.

# ცხვრის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის

## თათბირი ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე

საქართველოს მომთაბარე მეცხვარეობის რაიონების მშრომლები, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ერთგვარ წარმატებებს აღწევენ ცხვრის სულადობის ზრდის, ჯიშიანობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებისა და რაიონების ბევრი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართველ მეცხვარეებს შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანები — უმოკლეს ვადაში ერთიორად და მეტად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და გადააქციონ მეცხვარეობა მეურნეობის მაღალშემოსავლიან დარგად.

ამ ამოცანების განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვაზამთრებთ ცხვარს. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე მოწვეული თათბირი, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა. თათბირს ესწრებოდნენ პარტიის დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ლენინგორის და ჯავის რაიკომების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მეცხვარეობის ფერმების გამგეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს საძოვრების სამმართველოსა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურის მუშაკები, ცეკავშირის საცალო ვაჭრობისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გასულ წელს ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე დიდი მუშაობა ჩატარდა ცხვრის მთელი სულადობის საკვებით უზრუნველყოფისათვის. ეს სამუშაო წელსაც გაგრძელდა. თივის სადაზღვევო მარაგის შექმნის გეგმა გადაჭარბებით აქვთ შესრულებული ახმეტის, ლენინგორის, ჯავის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების კოლმეურნეობებს. საკმარისი თივა დააგროვეს თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმაც.

მიუხედავად ამისა, არის ისეთი კოლმეურნეობები, რომლებსაც თივის დაგროვების გეგმა არ შეუსრულებიათ. ასეთებია თიანეთის რაიონის გუდანელების, ლენინგორის რაიონის კოლოთის, ყაზბეგის რაიონის ახალციხის და სხვა კოლმეურნეობები. კოლმეურნეობები, რომლებსაც თივის სადაზღვევო მარაგი არ შეუვსიათ, ვალდებული არიან თივა შეიძინონ იმ კოლმეურნეობებისაგან, რომლებსაც ჭარბი საკვები აქვთ. ეს სამუშაო არავითარ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული და იგი უახლოეს დღეებში უნდა შესრულდეს.

კოლმეურნეობები დიდ ყურადღებას აქცევენ საკვების ზინებთან მიზიდვისა და მისი დაცვის საქმეს. კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც თივის უმეტესი ნაწილი დაწნეხეს.

შარშან საზამთრო საძოვრებზე რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ ააგო კეთილმოწყობილი სახლები მწყემსებისათვის. ამ მხრივ სამაგალითოა დუშეთის, ლენინგორისა და თიანეთის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებმაც მწყემსები უზრუნველყვეს საწოლებით, რადიომიმღებებით, ჟურნალ-გაზეთებით, აბანოებით, სამზარეულოებით.

სერიოზული სამუშაოები შესრულდა ცხვრის მთელი სულადობის ზინებით უზრუნველყოფისათვის. ახლა ყველა რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობას აქვს საკმარისი მოცულობის ტიპური ფარეხები, საბატკნეები, საჩეილეები და სხვა დამხმარე ნაგებობანი.

როგორც თათბირზე აღინიშნა, უკანასკნელ წლებში საძოვრებზე გაჭრილია მრავალი არტეზიული ჭა.

თათბირზე აღინიშნა, რომ საზამთრო საძოვრების ზოგიერთ მასივში წყლის რაციონალურად გამოყენების საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, არტეზიულ ჭებთან არ მოუწყვიათ გუბეები. ჭების საერთო დებიტი დღეღამეში 39 მილიონ ლიტრ წყალს შეადგენს. სრული შესაძლებლობა არსებობს არტეზიული წყლის უკეთ გამოსაყენებლად, მაგრამ ამ საქმეს ყურადღება არ ექცევა.

თათბირის მონაწილეები გაეცნენ დუშეთის რაიონის სოფლების ლაფანაანთკარისა და ჭართლის კოლმეურნეობათა ინიციატივას. ამ კოლმეურნეობებმა არტეზიულ ჭებთან გააშენეს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, მოიყვანეს სიმინდის უხვი მოსავალი. ეს მაგალითი იმას მოწმობს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე ყველა მომთაბარე კოლმეურნეობას აქვს შესაძლებლობა ზამთრის განმავლობაში მწყემსები უზრუნველყოს აქ მოყვანილი სიმინდით, ბოსტნეულით, კარტოფილითა და სხვა კულტურებით.

პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ზურღულმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ აუმჯობესებენ ცხვრის ჯიშიანობას რაიონის კოლმეურნეობები. მან გააკრიტიკა ცეკავშირის საცალო ვაჭრობის მუშაკები, რომლებიც ყოველთვის როდი უწევენ ანგარიშს მეცხვარე მომხმარებელთა საჭიროებას.

დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. დანელიამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა კასპიისპირეთში ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარების დარგში მიღებულ გამოცდილებას. მან თქვა, რომ კოლმეურნეობაში თუშურ ცხვრებთან ერთად ჰყავთ 352 ნაზმატყლიანი ცხვარი, რომელთა მატყლის ნაპარსი თვითეულ სულზე 8,6 კილოგრამს შეადგენს. ამ მატყლით მიმდინარე წელს კოლმეურნეობამ მიიღო 60.800 მანეთი, იმდენი, რამდენიც მიღებულია 5 ათასი თუშური ცხვრის მატყლით. კოლმეურნეობის ნაზმატყლიანი ცხვრის ფარა ზამთარზაფხულს იმყოფება ნოღაის ველზე, ნახევრად ზაგურ-ზანაკური შენახვის პირობებში.

პარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. უზნაძემ აღნიშნა, რომ მიღებულია ენერგიული ზომები საზამთრო საძოვრებზე ცხვრის ორგანიზებულად გადარეკვისათვის. მწყემსები მომარაგებული არიან თბილი ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და საჭირო პროდუქტებით, საზამთრო საძოვრებზე არსებულ ზინებს რემონტი გაუკეთდა, მიმდინარეობს მწყემსთა ორი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რაც ამ დღეებში დამთავრდება.

ახალგაზრდა მწყემსთა აღზრდისა და საზამთრო საძოვრებზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე ილაპარაკა პარტიის ყაზბეგის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. მადურმა. მანვე თათბირის მონაწილეებს აღუთქვა, რომ რაიონის კოლმეურნეობები ახალი წარმატებებით შეხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ბიძინაშვილი შეჩერდა იმ მუშაობაზე, რაც რაიონის კოლმეურნეობებმა ცხვრის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის გასწიეს. მან აღნიშნა, რომ კოლმეურნეობები თავის დროზე არ მარაგდებიან ისეთი აუცილებელი საქონლით, როგორიც არის ავტომანქანის ნაწილები, საწვავი, ლამპები და სხვ.

პარტიის თიანეთის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. გონჯილაშვილმა ილაპარაკა მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე, აღნიშნა, რომ შეღავათებმა, რომლებითაც მწყემსები მთავრობის დადგენილების საფუძველზე სარგებლობენ, შემოქმედებითი შრომის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ი. ყველაიძემ, შ. სიმონიშვილმა, შ. ჭაფოძემ, ა. სვანიძემ და სხვებმა.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო მწყემსებისადმი ყოველდღიური მზრუნველობის გაძლიერების საკითხებს. აღინიშნა, რომ მოზამთრეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კარგად მოწყობა უნდა წარმოადგენდეს პარტიის რაიკომების, რაისაბჭოების აღმასკომებისა და მთელი ჩვენი აქტივის გადაუდებელ საქმეს, საზამთრო საძოვრებზე მყოფი თვითეული მწყემსი თავს ისე უნდა გრძნობდეს, როგორც მშობლიურ კოლმეურნეობასა და საკუთარ სახლში.

თათბირმა ყურადღება გაამახვილა საძოვრების შემდგომი კეთილმოწყობის, წყლის რესურსების სრულად გამოყენების, პირუტყვისათვის საჭირო კონცენტრირებული საკვების თავის დროზე შეზიდვის და მეცხვარეობის შემდგომი განვითარების სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

თათბირის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელნი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან მთელი თავიანთი ღონისძიებები მოახმარონ ცხვრის საუკეთესოდ გამოზამთრების, დოლის წარმატებით ჩატარების და პირუტყვის პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლების დიდმნიშვნელოვან საქმეს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია — ათი თვის გეგმა ცხრა თვესა და სამ დღეში შეასრულა. განსაკუთრებით დაწინაურდნენ და პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში პირველი ადგილები მოიპოვეს საპაპიროსე ჰილზების დამტენებმა მ. აზალაძემ (სურათზე მარჯვნივ) და ა. გნეტოვამ (მარცხნივ). ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ჰილზების დამტენი საამქროს საერთო ხედი.

ფოტო შ. გოქაძისა.

## პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

### ბრძოლა ზეგეგმითი პროდუქციისათვის

საქართველოს ფეიქართა მოწინავე რაზმში — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივში, სადაც ფართოდაა გაშლილი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებების გაცნობა, ვადაზე ხუთი დღით ადრე შეასრულეს ათი თვის საწარმოო დავალება.

კომბინატის განყოფილებებში, საამქროებსა და ბრიგადებში საოქტომბრო მოწოდებათა შესახებ აგიტატორების საუბრის დროს მოწინავე ფეიქრებმა წინადადება შეიტანეს პარტიის მოწოდებათა პასუხად კომბინატის კოლექტივმა იკისროს ათი თვის გეგმის გადამეტებით 7 ნოემბრამდე მრავალი ათეული ათასი მეტრი მაუდისა და კამვოლური ქსოვილების გამოშვება. ამ წინადადებას ფეიქრები საერთო მოწონებით შეხვდნენ.

ახლა ფაბრიკაში გაჩაღებულია ბრძოლა საოქტომბრო ზეიმისათვის ზეგეგმითი პროდუქციის გამოსაშვებად.

### გუმბრინის მომპოვებელთა მიღწევები

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. („კომუნისტის“ კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის წინ გუმბრინის მომპოვებლები დადგნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტაზე და აძლიერებენ ბრძოლას საგეგმო დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სექტემბერში ნატეხი გუმბრინის ამოღების გეგმა 100,9 პროცენტით შესრულდა. მესამე კვარტალში ნაცვლად 38.128-ისა ამოღებულია 38.666 ტონა გუმბრინი, ხოლო დაფქვის გეგმა 2,7 პროცენტის გადამეტებით იქნა შესრულებული. კიდევ უკეთესი მაჩვენებლები აქვთ გუმბრინელებს ოქტომბერში.

საწარმოში არ არის ჩამორჩენილი ცვლა და მაღარო. წარმოების ავანგარდში არიან კომუნისტები და კომკავშირელები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან კომუნისტი ნ. გოგოლაძე და კომკავშირელი ვ. ჩირგაძე.

# გაზეთების ფურცლებზე

## კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობა

მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში მოკლე დროში აგებულ იქნა მთელი რიგი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ქალაქში კულტურულ-მასობრივი მუშაობის უკეთ წარმართვას, მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას. აგებულ იქნა და მწყობრში ჩადგა მეშახტეთა კლუბი და აბანო-სამრეცხაო კომბინატი აკარმარაში, კლუბი და სასადილო № 4 შახტში, საბავშვო ბაგა მეხუთე შახტში და სხვ. ამჟამად ტყვარჩელში შენდება კულტურის სახლი, სკოლის შენობა მეხუთე შახტში, საბავშვო ბაგა კვეზანში, დაიწყო სტადიონის აგება.

წერს რა ყოველივე ამას, საქალაქო გაზეთი „ტყვარჩელის მაღაროელი“ მოწინავე წერილში „სწრაფად ვაშენოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები“ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სამშენებლო მოედანზე მუშაობა ცუდად მიმდინარეობს. ნელი ტემპით შენდება კულტურის სახლი, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები უკვე რამდენჯერმე გადაიდო. მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე მშენებლობაზე ათვისებულ იქნა მხოლოდ 600 ათასი მანეთი, მაშინ როცა წლიური გეგმა 1.400 ათას მანეთს ითვალისწინებს. მშენებლობა ცუდად მარაგდება საშენი მასალით.

გაზეთი წერს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში არსებულ სხვა ნაკლოვანებებზეც, მაგრამ რატომღაც არ ასახელებს არც ერთ სამშენებლო ან სხვა ორგანიზაციას და მათ ხელმძღვანელებს, რომელთა მიზეზითაც ჭიანურდება მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა. მიუხედავად ამისა, გაზეთის სიგნალი პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის ყურადღების ღირსია.

## შაქრის ჭარხლის ჯიშთა [illegible]

ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს ქარელის რაიონის ცენტრში 1950 წელს შექმნილ შაქრის ჭარხლის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთში, რომელიც თავისი საქმიანობის პრაქტიკულ შედეგებს ნერგავს და ავრცელებს ქართლისა და სამხრეთ ოსეთის მეჭარხლეობის რაიონებში.

შაქრის ჭარხლის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთი აგრონომ სოფიო ხარაზოვის ხელმძღვანელობით ცდებს აწარმოებს ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფართობებზე. გასულ წელს ჯიშთა გამოცდისათვის გამოყოფილი იყო 8 ჰექტარი ფართობი, რომელზეც დაითესა შაქრის ჭარხლის 37 ჯიში. სათანადო აგროღონისძიებათა ჩატარების შედეგად ბევრი საცდელი ჯიშიდან ჰექტარზე გადაანგარიშებით მიღებულ იქნა 427,6-დან 471,1 ცენტნერამდე მოსავალი. ეს ჯიშები გამოირჩევიან აგრეთვე მაღალი შაქრიანობით და შაქრის გამოსავლიანობით.

გასული წლის შედეგების მიხედვით გადაწყდა გაგრძელებულიყო ცდები შაქრის ჭარხლის იმ ჯიშებზე, რომლებიც თავიანთი ბიოლოგიური თვისებებით და პრაქტიკული შედეგებით პერსპექტიულ ჯიშებად იქნა აღიარებული. მიმდინარე წელს 8 ჰექტარზე სულ დაითესა 28 ჯიშის შაქრის ჭარხალი, რომელსაც მუშ ხელით მომსახურებას უწევდა კოლმეურნეობა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით — ქარელის მტს-ი. მიღწეულია უკეთესი შედეგი.

როგორც რაიონული გაზეთი „ქარელის კოლმეურნე“ იუწყება, ქარელის შაქრის ჭარხლის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის ხელმძღვანელობა მრავალი წლის პრაქტიკული ცდებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიზანშეწონილია დარაიონდეს შაქრის ჭარხლის ჯიში „P-06“, რომელიც მოსავლიანობით და შაქრის გამოსავლიანობით სჯობნის სტანდარტულ ჯიშს „П-771“-ს.

# ვალდებულება განაღდებულია

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი ახალი საწარმოო მიღწევით აღნიშნავს პარტიის XX ყრილობისათვის მზადებას. აღებული სოციალისტური ვალდებულების ანგარიშში მან უკვე პირველი ოქტომბრისათვის გადაჭარბებით გაანაღდა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება. ამასთან დაკავშირებით ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის მთავარი სამმართველოდან მიღებულია მილოცვის დეპეშა.

მიმდინარე წლის ცხრა თვის საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება შესრულებულია 112,2 პროცენტით, თვითღირებულების შემცირებისა — 10,3 პროცენტით ნაცვლად გათვალისწინებული 8,6 პროცენტისა, ზეგეგმითმა დაგროვებამ 3.256 ათას მანეთს მიაღწია. ქარხნის კოლექტივმა 236,3 ათასი მანეთის მასალები დაზოგა, ეკონომია გაწეულია ხელფასის ფონდშიც. 7,1 პროცენტის გადამეტებით არის განაღდებული შრომის ნაყოფიერების ამაღლების რვა თვის დავალება.

ქარხანა განუწყვეტლივ ზრდის პროდუქციის გამოშვებას. 1950 წელთან შედარებით სამკურნალო პრეპარატების გამოშვება 195 პროცენტით გადიდდა.

მიღწეული წარმატებები მოპოვებულია ახალი ტექნიკის დანერგვის, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისა და კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად.

განვახორციელეთ მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები მაღალი წარმადობის მანქანებისა და მოწყობილობების გასამართავად. წელს ტექნიკურად ავითვისეთ „ამბეგის“ სისტემის ნახევრადავტომატური მანქანა, რომელიც შუშის თითოგრამიან ამპულებს ამზადებს. ამან საშუალება მოგვცა სამჯერ გაგვედიდებინა შრომის ნაყოფიერება ამ პროცესზე. დამფასოებელ საამქროში საექსპლოატაციოდ გადაცემულია დამფასოებელი სამი მანქანა, რომლებმაც 25 კაცის შრომა შეცვალა. საამქროში, სადაც ამპულები მზადდება, მთლიანად ავითვისეთ ამპულის თავის დამაკავშირებელი მოწყობილობა. ამ ღონისძიების განხორციელებით 2,5-ჯერ დავაჩქარეთ მუშაობა ამ ოპერაციაზე. უახლოეს ხანში ავამუშავებთ ერთგრამიანი ცარიელი ამპულების დამჭრელ მანქანას, რომელიც 10-12 ადამიანის მაგიერობას გასწევს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ოქტომბრის გეგმა ხუთი დღით ადრე გაენაღდებინა. ეს ვალდებულება შესრულებულია.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან ქარხნის მოწინავე ადამიანები — ტანინის საამქროს მეაპარატეები ზ. კუმარიტოვი და ნ. ვირჩენკო, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს ორმაგად და მეტად ანაღდებენ. მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ ფარმაცევტული საამქროს მეაპარატე ა. აბაშიძეს, დამფასოებელი საამქროს დამფასოებელ ნ. იანქოშვილს, მემანქანე ა. არმენაკიანს, მექანიკური საამქროს ხარატს ა. კარტაშიანს, ზეინკალთა ბრიგადირს ვ. მერინოვს და სხვებს. საამქროთა უფროსებიდან უკეთესად მუშაობენ ნ. ტურაბელიძე და ი. კაზალიკაშვილი, აგრეთვე უბნის უფროსი ა. შუბლაძე.

თბილისელი ფარმაკო-ქიმიკოსები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებები, ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ საახელოდ გაანაღდონ კიდევ ერთი ვალდებულება — 20 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური გეგმა ყველა ნომენკლატურის მიხედვით და ღირსეული საწარმოო საჩუქრებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

**დ. ჯაფარიძე**
თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დირექტორი.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაში წელს აითვისეს სამამულო წარმოების თბომავლების შეკეთება. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ახლადშეკეთებული მძლავრი საბჭოთა თბომავალი საცდელი გარბენის შემდეგ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# უკეთ დავეხმაროთ სკოლებს პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებაში

ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეები მეცადინეობის მთელ პერიოდში მიდრეკილებას იჩენენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკული საკითხების დაუფლებისადმი. სკოლებში და მათ გარეთ, სადაც კი ამის შესაძლებლობაა, ისინი ეწევიან ხელსაქმეს, აგებენ ელექტროსადგურების, გემების, საკოლმეურნეო ნაგებობათა მოდელებს. თბილისის 87-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ლავრენტი დანელიანმა ქიმიის კაბინეტში დაამზადა მარილმჟავას მიმღები მოქმედი მაკეტი.

მრავალი მოსწავლე იჩენს სიყვარულსა და ინტერესს სოფლის მეურნეობის პრაქტიკული საკითხებისადმი. ისინი მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში, სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ეუფლებიან ნიადაგის დამუშავებას, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების, ხილის, მარცვლეულის მაღალი მოსავლის მოყვანის მეთოდს, სწავლობენ მეფრინველეობას.

როგორც ცნობილია, პოლიტექნიკური სწავლების წარმატებით განსახორციელებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უფლება მისცა საკავშირო და რესპუბლიკურ სამინისტროებს, აგრეთვე უწყებებს უსასყიდლოდ გადასცენ სკოლებს ჩარხები, შიდაწვის მცირე ძრავები, ელექტრომოტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ინსტრუმენტები, ლაბორატორიებისა და სხვა მოწყობილობა, რომლებიც გამოუყენებელია წარმოებაში, მაგრამ ვარგისია სასწავლო მიზნებისათვის.

თბილისის მრავალმა საწარმომ, სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას და კარგად მოაწყო თავის საშეფო სკოლაში სასწავლო სახელოსნო. თავისი შეფის დახმარებით 97-ე საშუალო და 106-ე არასრულმა საშუალო სკოლებმა კარგა ხანია დაამთავრეს საზეინკლო და სადურგლო სასწავლო სახელოსნოების გამართვა. მომსვლელთა ყურადღებას იპყრობს ამ სახელოსნოთა მოწყობილობა, სახელოსნოს აქვს სადურგლო და საზეინკლო ჩარხები, ლითონის საბურღავი და სახარატო ჩარხები, ელექტროსალესი, სადურგლო იარაღებისა და ინსტრუმენტების მთელი კომპლექტი და სხვ.

სახელოსნოში ახლა მრავალ მოსწავლეს მიეცა შესაძლებლობა შეისწავლოს ლითონისა და ხის დამუშავების ტექნიკა. ამ შესაძლებლობას მოსწავლეები წარმატებით იყენებენ. 106-ე სკოლის მეექვსეკლასელი ელენე ანდრიაძე უკვე დამოუკიდებლად ამზადებს რკინის ჩაქუჩსა და გონიოს. მეხუთე კლასის მოსწავლეებმა ლ. ცხაკაიამ, რ. კურბანოვამ, ვ. აკოფოვმა შეისწავლეს ლითონის დაჭრა, ბურღით ხვრეტა და სადურგლო ინსტრუმენტების ხმარება. 97-ე სკოლის მერვეკლასელები ვერმიშევა და კრავჩენკო ახლა დამოუკიდებლად ამზადებენ ლითონის ჩაქუჩს. ამავე სკოლის მეათეკლასელი ნ. კლაპოტკინი სასწორის ბერკეტის გამოკვეთას დაეუფლა და ა. შ.

სასწავლო სახელოსნო ასევე კარგად არის მოწყობილი 87-ე, მე-12 და სხვა სკოლებში.

სასწავლო სახელოსნოების მოწყობაში სკოლებს დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. კიზიაძე), ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ (უფროსი ამხ. გ. მშვიდობაძე), ნავთლუღის ავეჯის კომბინატის მშენებლობამ (უფროსი ამხ. შ. ჯანელიძე), წოსქვილკომბინატმა (დირექტორი ამხ. ვ. ბარბაქაძე) და სხვებმა.

ჩამოთვლილი წარმატებანი, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, რომ თბილისის ყველა სკოლაში იყოს მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები, ყველგან შეუფერხებლად და გამართულად მიმდინარეობდეს პრაქტიკული მეცადინეობა. როგორც გამოირკვა, მრავალ სკოლას „გადაულახავი“ სიძნელეები აბრკოლებს, ზოგიერთ სახელოსნოს მოსაწყობად ბინა არა აქვს, ზოგს ბინა აქვს, მაგრამ მოწყობილობა ვერ უშოვნია.

— სკოლაში დღესაც იმის გამოა მოუწყობელი სახელოსნოები, რომ ჩვენი შეფის — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ქალაქის მშენებლობის ყოფილი უფროსის ამხ. ქართველიშვილის დაპირებები გვაიმედებდა, — განაცხადა 56-ე სკოლის დირექტორმა ამხ. ლ. შანიძემ, — მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ, საბოლოოდ დავრწმუნდით რა, რომ ამხ. ქართველიშვილი ამაო დაპირებებს იძლეოდა, ჩვენ არასაშეფო ორგანიზაციებში ზოგი რამ ვიშოვნეთ და როგორმე სახელოსნოს მალე მოვაწყობთ.

ძლივს-ძლივობით იშოვნეს მოწყობილობა 57-ე სკოლის (დირექტორი ვ. ჯიქია) სახელოსნოს გასამართავად. მაგრამ ეს სკოლა მთავარ მიზანს მაინც ვერ აღწევს, შესაფერისი ბინის უქონლობის გამო სახელოსნოებს ვერ აწყობს.

ნორმალური პრაქტიკული მეცადინეობა თითქმის შეუძლებელია 49-ე სკოლაში (დირექტორი დ. ფირცხალავა). მართალია, ამ სკოლას დიდი დახმარება გაუწია შეფმა — საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის (მმართველი ამხ. შ. ჭანკვეტაძე) კოლექტივმა, რომელმაც მისცა სახელოსნოსათვის მთელი მოწყობილობა, მაგრამ ახლა შესაფერის ბინას ვერ პოულობენ.

50-ე სკოლას პოლიტექნიზაციისათვის საჭირო პირობები არა აქვს ფართობის სივიწროვის გამო. სკოლის დირექცია იძულებულია პრაქტიკული მეცადინეობა ექსკურსიებით შეცვალოს.

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელებს თავმინებებული აქვთ თავიანთი საშეფო სკოლა, იშვიათად მიდიან ადგილზე, საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ სასწავლო სახელოსნოს მოწყობა-გამართვაში, მხოლოდ დაპირებებით ამიმედებენ მას. ეს ითქმის უწინარეს ყოვლისა თბილისის საკავშირო სამშენებლო სამონტაჟო ტრესტ „ვეზსტროის“ (მმართველი ვ. ვასაძე) მიმართ. იგი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ თავისი საშეფო 50-ე საშუალო სკოლა ერთხელ დაათვალიერებინა მთავარ ინჟინერს. ეს იყო და ეს. სხვა დახმარება დღემდე არ გაუწევია.

უნდა აღინიშნოს მთელი რიგი სხვა სიძნელეები, რომლებსაც სკოლები ხვდებიან პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებისას. როგორც ცნობილია, მიმდინარე სასწავლო წლის პროგრამა ითვალისწინებს სპეციალურ საათს პრაქტიკული მუშაობისათვის. ზოგიერთი სკოლის დირექტორებმა ჯერ კიდევ კარგად არ იციან, თუ რა პირობებში და როგორ ჩაატარონ ეს საათი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები არ იღებენ გადამჭრელ ზომებს ყველა სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის. ჯერ კიდევ არ არის ადგილებზე ინსტრუქციები პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებისათვის, არ მიუციათ მითითება, თუ როგორ უნდა სარგებლობდნენ სკოლები საზოგადოებრივი და საწარმოო ორგანიზაციების დახმარებით. მით უმეტეს ამ საქმის ორგანიზაცია განსაკუთრებით ძნელია სოფლად და რესპუბლიკის პატარა ქალაქებში. ამიტომ სამინისტრომ და სახალხო განათლების განყოფილებებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რა სახის დახმარება მიიღონ სკოლებმა მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან.

ბევრი სკოლა, იბრძვის რა არსებული სიძნელეების დასაძლევად, ქმნის სასწავლო სახელოსნოებს, მაგრამ თვითეული მათგანი აწყობს მათ იმის მიხედვით, თუ რა მოწყობილობას იშოვნის ან როგორც უკარნახებს შეფი. ამიტომ განათლების სამინისტრო მოვალეა შეადგინოს სასწავლო სახელოსნოების ტიპური პროექტებისა და პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდური სახელმძღვანელო. ყველა სკოლაში უნდა იყოს გამოყოფილი პიროვნება, რომელიც პასუხს აგებს სასწავლო სახელოსნოს მოწყობილობათა შენახვასა და მოვლა-პატრონობაზე, სახელოსნოში დამზადებულ პროდუქციაზე.

ჩვენს სკოლებში მოსწავლეები ძვირფასი ტანსაცმლით შემოსილი დადიან. სასწავლო სახელოსნოებში პრაქტიკული მუშაობისას საჭიროა სპეციალური ხალათები, რომელთა შეძენას სათანადო ყურადღება არ ექცევა. სახელოსნოების მოქმედება შეუძლებელია ლითონის, ხე-ტყის, საწვავ-საცხებისა და სხვა მასალების უქონლად. ყოველივე ეს თითქოს „წვრილმანია“, მაგრამ მათი მოგვარება აუცილებელია.

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მას. თანამედროვე ტექნიკის მიღწევების, საწარმოების ნოვატორთა და სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა გამოცდილების გაცნობით ჩვენს მომავალ თაობას — მოსწავლეებს ღრმად უნდა ჩავუნერგოთ შრომისადმი სიყვარული.

**გ. ხენგაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ობელისკები და მემორიალური დაფები 1905 წლის რევოლუციური ამბების ადგილებში

რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად იმ წლების ამბების ადგილას საქართველოში გაკეთდება ობელისკები და მემორიალური დაფები.

თბილისის ლენინის რაიონში, რომელიც განთქმულია რევოლუციური წარსულით, ყოფილ ხუდადოვის ტყეში დაიდგმება ობელისკი. 1905 წლის დეკემბერში აქ მოხდა მუშათა შეიარაღებული რაზმების ბრძოლა მეფის ჯარის ნაწილებთან.

მემორიალურ დაფას გაუკეთებენ № 1 სახლს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის თოფურიძის ქუჩაზე. ამ ადგილას, სადაც წარსულში მოედანი იყო, 1905 წლის ოქტომბერში იმართებოდა მშრომელთა მასობრივი მიტინგები. ერთ-ერთ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ი. ბ. სტალინმა.

მემორიალურ დაფას უკეთებენ ქალაქ თბილისის კლარა ცეტკინის ქუჩის № 17 სახლის ფასადს. ამ სახლში 1905 წლის ნოემბრის დამლევს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ.

ასეთივე დაფა წარწერით კეთდება № 3 სახლზე გროზნის შესახვევში, სადაც ცხოვრობდა გამოჩენილი რევოლუციონერი მუშა პეტრე ვასილის-ძე მონტინი, რომელიც შავრაზმელებმა მოკლეს ბაქოში 1905 წლის 6 (19) დეკემბერს.

პლეხანოვის პროსპექტზე № 40 სახლში, ახლანდელი 32-ე საშუალო სკოლის შენობაში, მოთავსებული იყო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთები „მნათობი", „ჩვენი ცხოვრება" და „დრო", რომლებიც გამოდიოდა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. ამ ღირსსახსოვარი მოვლენის მოსაგონრად შენობაზე გაკეთდება მემორიალური დაფა.

დასახულია მემორიალური დაფა გაუკეთდეს ბრესის ქუჩის ერთ-ერთ შენობას, ახლანდელი საკოლმეურნეო მოედნის ახლოს. ამ ადგილებში 1905 წლის თებერვალში იმართებოდა ქალაქ თბილისის მშრომელთა გრანდიოზული მიტინგები და დემონსტრაციები ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარობის ნიშნით. 1905 წლის რევოლუციის მსხვერპლთა ხსოვნას უკვდავყოფს მემორიალური დაფა ერთ-ერთ შენობაზე თბილისის ყოფილი სალდათის ბაზრის, ახლანდელი საკოლმეურნეო მოედნის ახლოს. აქ 1905 წლის 22 დეკემბერს მოხდა რევოლუციური მასების შეიარაღებული შეტაკება მეფის ჯარის ნაწილებთან, რომლის დროსაც მოკლეს და დაჭრეს 60-ზე მეტი კაცი.

მემორიალურ დაფას გაუკეთებენ თბილისის საქალაქო საბჭოს შენობას. 1905 წლის 29 აგვისტოს (11 სექტემბერს) პოლიციამ და კაზაკებმა მოაწყეს სისხლიანი დარბევა მშრომელთა კრებისა, რომელიც აქ მიმდინარეობდა.

ოქროსფერი ასოებით გაკეთდება სამახსოვრო წარწერა თეთრ მარმარილოზე ახლანდელი პირველი საშუალო სკოლის შენობის შესასვლელთან, რუსთაველის პროსპექტისა და ლესია უკრაინკას ქუჩის კუთხეში. ამ შენობაში და მის ახლო ადგილებში 1905 წლის 22 ოქტომბერს შავრაზმელებმა და ჯარის ნაწილებმა სროლა აუტეხეს მოქალაქეებსა და ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეებს. ამ მხეცური თავდასხმის დროს მოკლეს და დაჭრეს ასზე მეტი კაცი.

ასეთივე დაფა გაუკეთდება № 7 სახლს ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც იყო სტამბა, რომელიც 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბეჭდავდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის ორგანოს — „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკს".

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ობელისკები და მემორიალური დაფები გაკეთდება საქართველოს სხვა ისტორიულ ადგილებშიც, რომლებიც დაკავშირებულია 1905 წლის ამბებთან. (საქინფ).

## მრავლისმეტყველ სტენდებთან

### გორის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე



ამ რამდენიმე დღის წინათ გორის სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მოპოვებულ სერიოზულ წარმატებათა მძლავრ დემონსტრაციას წარმოადგენს. ამ წარმატებებს ნათლად ასახავს მთავარი პავილიონის თვალსაჩინო ადგილას დიდ ტილოზე წარწერილი ციფრები: დიდ სამამულო ომამდე რაიონის კოლმეურნეობათა მთელი ფულადი შემოსავალი შეადგენდა მხოლოდ 6,5 მილიონ მანეთს, 1950 წელს — 25,6 მილიონ მანეთს, ხოლო 1954 წელს ფულადმა შემოსავალმა 57 მილიონ მანეთს მიაღწია. განვლილ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომადღის ღირებულებაც.

მთავარი პავილიონი იხსნება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სტენდით, რომლის თავზე წარწერილია შემდეგი სიტყვები: „ქართლი მიწათმოქმედებისა (მარცვლეული კულტურების, მევენახეობის) და ლითონის დამუშავების ერთ-ერთი უძველესი კერაა მსოფლიოში". იქვე მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ მუზეუმის მიერ 1953 წლის გაზაფხულზე სოფელ ურბნისში „ხიზანაანთ" გორაზე ნამოსახლარის გათხრისას აღმოჩენილ ქურქლეულში ხორბლისა და ქერის გადამწვარ მარცვლებს.

გამოფენაში მონაწილეობს სულ 24 კოლმეურნეობა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს სოფელ სკრის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონი. ამ კოლმეურნეობას ხორბლის მოყვანის შესანიშნავი გამოცდილება აქვს. ეს ნათლად ჩანს პავილიონში წარმოდგენილი ექსპონატებით. კოლმეურნეობამ წელს ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანა 18,19 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი „შავფხა".

წელს რაიონის კოლმეურნეობებში ერთიორად გადიდდა სიმინდის ფართობი. მასობრივად დაინერგა სათოხნი კულტურების თესვის პროგრესული მეთოდი. სოფელ ზერტის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონში წარმოდგენილია მონაცემები სიმინდის კულტურის შესახებ. მიმდინარე წლის გაზაფხულზე 110 ჰექტარით მეტი სიმინდი დაითესა, ვიდრე შარშან. საშუალოდ ჰექტარზე აქ 35-40 ცენტნერ სიმინდს იღებენ.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის" პავილიონში ფართოდ არის ნაჩვენები მეხილეობაში მოპოვებული წარმატებანი. წელს კოლმეურნეობამ ჰექტარზე 75 ცენტნერი ხილი მოკრიფა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა.

გამოფენაზე საკმაო ადგილი უჭირავთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. ახალსოფლის მტს-ის სტენდზე ბევრი საინტერესო მასალაა. მტს-მა 1 ოქტომბრისათვის 118,1 პროცენტით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა (რბილ ხვნაზე გადაყვანით).

ცალკეა მეცხოველეობის პავილიონი. აქ კოლმეურნეობებს მოყვანილი ჰყავთ ჯიშიანი ძროხები, ღორები, ცხენები... სოფელ ზემოდულეთის კოლმეურნეობა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა. კოლმეურნეობამ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.250 კილოგრამი რძე ნაცვლად 950 კილოგრამისა.

გორის სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ მნახველთა მოწონება დაიმსახურა.

**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

**სურათზე:** შავშვების მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ბუჯიაშვილი მნახველებს ესაუბრება ნაწვერალზე ნათესი სიმინდის მოსავლის მოლების გამოცდილებაზე.

ფოტო შ. კუკულავასი.

## მხატვრული თვითმოქმედების საოლქო დათვალიერება

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების საოლქო დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქალაქო და სარაიონო დათვალიერებაში გამარჯვებულმა კოლექტივებმა. დათვალიერებამ ცხადყო მხატვრული თვითმოქმედების წინსვლა. მან გამოავლინა ახალი ტალანტები — მომღერლები, მოცეკვავეები, დეკლამატორები, მუსიკოსები და სხვ.

მაყურებლებმა მოწონებით შეხვდნენ ტყვარჩელის მეშახტეების კლუბთან არსებული თვითმოქმედი ანსამბლის გამოსვლას, რომელმაც დიდი ოსტატობით შეასრულა სიმღერა „ჩვენი ტყვარჩელი". გუნდმა იმღერა აგრეთვე ვ. მურადელის „საბჭოთა პატრიოტების მარში" და სხვ. წარმატება ხვდა კომპოზიტორ ვ. მურადელის სიმღერას „მე ახლა შეყვარებული ვარ".

ყურადღება მიიპყრო რკინიგზის სოხუმის კვანძის თვითმოქმედმა საესტრადო ორკესტრმა, რომელმაც კარგად შეასრულა ამავე კოლექტივის უხუცესი წევრის სემილიტოპულოს მიერ დაწერილი „ვალსი". განსაკუთრებით გამოირჩეოდა კინწურაშვილის, დარახველიძისა და ხოხლოვის მიერ შესრულებული სიმღერა „ჩემი ვარდი ხარ".

პირველ დღეს დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ოჩამჩირის მასწავლებლის სახლის და ჩაის ფაბრიკის თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

საინტერესოდ ჩაიარა დათვალიერების მეორე დღემ. საერთო მოწონება დაიმსახურა სოხუმის აფხაზური პედაგოგიური სასწავლებლის თვითმოქმედი კოლექტივის მიერ შესრულებულმა მუსიკალურ-ლიტერატურულმა მონტაჟმა „აყვავდი, მშობლიურო აფხაზეთო".

კარგად გამოვიდა სოხუმის მასწავლებლის სახლთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივი (ხელმძღვანელი აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ბ. მარღანია). მაყურებლებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელმაც ოსტატურად შეასრულა „ფერხული" და „მასობრივი მთიულური" ცეკვები.

მრავალფეროვანი პროგრამით წარდგა დათვალიერებაზე საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი ვ. ხილაია), რომელმაც შეასრულა სიმღერები „სამშობლოზე", „ჩვენ ომი არ გვინდა" და სხვ.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, ინდუსტრიული ტექნიკუმის, გაგრის რაიონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, გალის ჩაის ფაბრიკის, სოხუმის ავტოსატრანსპორტო კანტორის, სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის და სხვა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

## „ტარიელ გოლუა" რუსთაველის სახელობის თეატრში

გუშინ მიმდინარე სეზონის პირველ პრემიერად რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის ლ. ქიაჩელის დრამა „ტარიელ გოლუა". თეატრმა ეს დადგმა მიუძღვნა რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავს.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ მ. თუმანიშვილს, მხატვრობა — სტალინური პრემიის ლაურეატს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. თავაძეს, მუსიკა — კომპოზიტორ რ. ლაღიძეს. ქორეოგრაფია მ. შუბაშვილისა, ლოტბარი — ნ. მამაცაშვილი.

მთავარ როლებს ასრულებდნენ სტალინური პრემიის ლაურეატები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა (ტარიელ გოლუა) და ა. ვასაძე, მსახიობი კ. მახარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. გეგეჭკორი, სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ჩახავა, მსახიობები ე. მანჯგალაძე, კ. საკანდელიძე, შ. გიგაური, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. დავითაშვილი, მსახიობები მ. გეგეჭკორი, ლ. ყაზაიშვილი და სხვ.

## ახლის გრძნობა

ის პირველად მოსკოვში, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ვნახეთ. საქართველოს სსრ პავილიონში ეკრანზე გვიჩვენეს ქართველ მევენახე კოლმეურნეთა მუშაობის ცალკეული მომენტები. ჭარმაგი მოხუცი ვედია კვანტრიშვილი დგას ყურძნით დახუნძლულ ზვარში, ხელში თოხი უჭირავს და გაჰყურებს მავთულებზე მიგრეხილ-მოგრეხილ ვაზებს. შემობრუნდება კოლმეურნე... მის წინ ისარივით გაჭიმული თვალუწვდენი მწკრივებია.

და, აი 1955 წლის 10 ოქტომბერია... ვდგევართ არა ეკრანის წინ, არამედ იმ ვაზებთან, რომლებმაც უფლება მოიპოვეს კინოლენტების საშუალებით სწვეოდნენ ჩვენი დიადი ქვეყნის გულს — მოსკოვს, დაემშვენებინათ რესპუბლიკის პავილიონი, ვდგევართ ვედიას გვერდით ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის კოლმეურნეობის ვენახებში, შევყურებთ ქარვისფერ მტევნებს, რომლებსაც დაუფარავთ ვაზის ძირი, ტოტებიცა და ფოთლებიც.

შესასვლელთან — პირველი ვაზის ძირას ხელის ფარანი დევს. ეტყობა ვედია ღამითაც ვერ ელევა თავის „შვილობილებს", ერთგულად დარაჯობს მათ, ხალხისა და ჩემს ნაამაგარს ცხოველმა ან ფრინველმა არა ავნოს რაო.

ბევრი რამ ვნახეთ კარგი ვ. კვანტრიშვილის მუშაობის მეთოდში, რომლის საშუალებით მან შარშან — ჰექტარზე გადაყვანით საშუალოდ 250 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა... და განა მარტო შარშან? თითქმის ათი წელია ეს ვენახები მის მზრუნველ თვალსა და გამრჯე მკლავებს აბარია და ყოველწლიურად ბარაქას მატებს კოლმეურნეობას.

საშემოდგომო და საგაზაფხულო გადაბარვა იქნება თუ ნიადაგში მინერალური ან ორგანული სასუქების შეტანა, გასხვლა, მწვანე ოპერაციები, შეწამვლა თუ გათოხნა, ვედია ყველა ამ აგროტექნიკურ ღონისძიებას თავის დროზე ახორციელებს. უბრალო წვრილმანიც კი არ გამორჩება. იცის, ვაზის რომელი ძირი მოითხოვს მეტ ყურადღებას, სად და როდის უნდა მიეშველოს მას.

მაგრამ ამაში განსაკუთრებული არაფერია. განა ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოწინავე მევენახეებიც ასე არ მუშაობენ!

ვაზი უძველესი კულტურაა საქართველოში. ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე შექმნა უმდიდრესი ტრადიციები მისი მოვლა-დამუშავების, უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღების, ვაზის ჯიშების გაუმჯობესებისა და მისი მრავალფეროვნების მიღწევის საქმეში.

ჩვენმა დიადმა საბჭოთა ეპოქამ სილაღე და გაქანება მისცა ხალხთა თავისუფალ და შემოქმედებითს შრომას, სიახლე შეიტანა და არსებითად გააუმჯობესა ვაზის მოვლა-დამუშავების ძველი მეთოდები... ვედიაც ამ ახალს, საბჭოთა აგროტექნიკის მიღწევებს ეუფლება და ყოველწლიურად ნერგავს თავის ნაკვეთში. ეს ყველაფერი საინტერესო და აღმაფრთოვანებელია.

მაგრამ იმ დღეს, როგორც ყოველთვის, მთავარი იყო თვით ადამიანი, კოლმეურნე ვედია კვანტრიშვილი, 65 წლის ჭარმაგი მოხუცი, თმაშევერცხლილი... მას, თითქოს ვაზებს ეხამებაო, მომწვანო შარვალ-ხალათი ეცვა, ამავე ფერის ქუდი ეხურა.

საღამოა... მთელი დღის ნაშრომია ვედია, მაგრამ დაღლილი არ არის. წინ მიგვიძღვის, ხელით ეხება ვაზებს, თვალებით ელერსება მავთულებზე ტკიცებივით გაწოლილ მტევნებს, ხანდახან მობრუნდება (განსაკუთრებით მაშინ, როცა ვაზის ძირი და ტოტები მთლად დაფარულია მტევნებით), შემოგვხედავს და ულვაშებში ეღიმება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერთ ვაზთან შეჩერდა. მტევნებით ისე იყო დახუნძლული ეს ძირი, რომ საკმაოდ მსხვილი მავთულებისათვის ვედიას ორ ადგილას ორკაპი სარი შეეყენებინა.

— ნახეთ, — გვითხრა თავმჯდომარემ და ვაზის ტოტებს რამდენიმე ფოთოლი მოაცალა, რომ უფრო თვალნათლივ შეგვეხედა მტევნებისათვის.

ვედიას არ ესიამოვნა, თავი უცნაურად ჩაიქნია და გზა განაგრძო. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არ გამოპარვია ეს მომენტი, გაიღიმა და ყველას გასაგონად თქვა:

— უცნაური კაცია, ჩვენი ვედია! ყურძენი კი არა, ვაზის ფოთოლი რა არის, იმისთვისაც ხელი ვერ მიგვიკარებია, სწყინს...

ამ სიტყვებზე ვედია მობრუნდა, ერთხელ კიდევ შეხედა მიწაზე დაყრილ ფოთლებს და თავისთვის წაიბუტბუტა:

— განა მწყინს, შე კაცო, მაგრამ, რა საჭიროა... მოვა, დრო, და თვითონ ჩამოცვივდება.

ცოდვას ვერ ვიტყვი, ერთხელ შეგვეპატიჟა მასპინძელი „ყურძენი მიირთვითო", მაგრამ იგრძნობოდა, რომ ეს არ იყო ისეთი შეპატიჟება, როგორიც ალავერდელებმა იციან.

ერთი მწკრივი კიდევ ჩამოგვატარა ვედიამ. დამახასიათებელია: ხვალ რთველს იწყებენ და ვაზის ძირებთან თუ მწკრივში ერთი სარეველა ბალახიც არ ჩანს, მიწა ფხვიერი, გათოხნილ-გაკრიალებულია.

მანქანასთან მივედით. ვ. კვანტრიშვილმა ხელი არ ჩამოგვართვა. „ჩემსას მეწვიეთო", — გვითხრა თვალებგაბრწყინებულმა.

ნახევარი საათის შემდეგ მართლაც ვედიასას ვიყავით. ეს მისი საკარმიდამო ნაკვეთია. შეჰყურებ კეკლუც ეზოს და ყველაფერს მამაცი მეურნის გამრჯე ხელი ატყვია. ყურადღებას იქცევს ცოცხალი ღობე... ღობის გაყოლებით ჩარგული ბროწეულის ხეები. ყველაფერია ამ ეზოში: ატამი, მსხალი, ვაშლი, ხურმა... მაგრამ ძირითადი ბინადარი მაინც ვაზია.

მართალია, ვედიას იქაც გამოუჩენია თავისი ოსტატობა, მაგრამ...

დიახ, სწორედ ეს მაგრამ არის იმ სიახლის შედეგი, რომელიც აშკარად შეინიშნება კოლმეურნე ვ. კვანტრიშვილის ცხოვრებაში. ვედიას კარგა ხანია კოლექტიურმა შრომამ, ადამიანთა სოციალისტური თანაცხოვრების სიდიადემ საზოგადოებრივი ქონება ისე შეაყვარა, როგორც საკუთარი. უფრო მეტიც. იგი იმ ვენახს, რომელიც კოლმეურნეობის საერთო საკუთრებას შეადგენს და მას აბარია, მეტი სიყვარულით უვლის, უფრთხილდება, ვიდრე თავის საკარმიდამო ნაკვეთს.

ეზოში ყურძენიც მოგვიკრიფა, აკიდოებიც აჭრა, მაგრამ მის სახეზე არ შეგვიმჩნევია ის ნაღველი, რომელიც ვნახეთ დიდ ვენახში (ასე ეძახის ვედია საკოლმეურნეო ვენახის ფართობს), თავმჯდომარემ ვაზს ფოთლები რომ მოსწყვიტა.

ცუდად მოვლილია, ვერ იტყვით მის საკარმიდამო ნაკვეთში გაშენებულ ვაზზე, მაგრამ კოლმეურნეობის ვენახთან მისი შედარებაც არ შეიძლება.

იქნებ იქ უკეთესი ნიადაგი იყოს? ან ვედიას არ ჰქონდეს პირობები მცენარის შეწამვლისა თუ ნიადაგის განაყოფიერებისათვის. არა, ორივე შემთხვევაში მას თანაბარი პირობები და საშუალებანი აქვს.

მთავარია დრო. ვედია დროს ვერ იმეტებს პირადი საქმისათვის, დროს, რომელსაც ასე ჭარბად მოითხოვს მისი საყვარელი საქმე, ვედიას ნამდვილი შვილობილი (როგორც ამას სოფელში ეძახიან) — საერთო მიწაზე გაშენებული ვენახი.

— ესეც მიყვარს, — ამბობს ვედია საკუთარი ვაზის შესახებ, — ჩემი გაშენებულია და როგორ არ უნდა მიყვარდეს. მაგრამ რა ვქნა, ის რატომღაც გულთან უფრო ახლოა, რაღაცას მავალდებულებს!.. სახალხო საქმეა, ჩამაბარეს, მენდნენ... მაშასადამე, უნდა მოვუარო, არ უნდა შევრცხვე.

შრომამაც უფასედება ვ. კვანტრიშვილს. ყოველწლიურად თავისი საყვარელი ვენახებიდან ორ ტონა ყურძენს მარტო პრემია-წანამატის სახით იღებს. მაგრამ ეს როდია მთავარი. მამაცურმა შრომამ ვედიას სახელი პატარა ალავერდიდან დიდ მოსკოვამდე აამაღლა. კვირა დღე იქნება, თუ დღესასწაული, საზეიმოდ რომ გამოეწყობა, მკერდზე ორდენებს დაიკიდებს და ოქროს ვარსკვლავიანი გმირი ვაზებს ჩამოუვლის, მას უორკეცდება ბედნიერების გრძნობა, ადამიანური სიხარული, რომელიც ვედიას ბეჯითმა შრომამ, სოციალისტური საკუთრებისადმი ტრფიალმა მოუპოვა.

ეცნობი ამ უბრალო ადამიანს, ესაუბრები მას, უკვირდები მის შრომით საქმიანობას, ხასიათს, და გრძნობ იმ სიახლეს, რომელმაც ასე მკვიდრად მოიდგა ფეხი ჩვენს საკოლმეურნეო ცხოვრებაში, გრძნობ, რომ ვაზის თვითეულ მტევანში, რომელიც კოლმეურნეთა საერთო საკუთრებაა, ვედია ხედავს არა მარტო თავისთავს, არამედ საზოგადოებას, ხედავს ცხოვრების სიდიადეს, ადამიანებს.

თავის რაიონში — ზესტაფონში ბევრი ეჯიბრება ვ. კვანტრიშვილს. აი, თუნდაც იოველ წაქაძე — მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

— კარგი მევენახეა, — ამბობს ვედია, — მიწებიც კარგი აქვს, ვაზიც ახალგაზრდა, ჯანსაღი და მსხმოიარე... ვნახოთ...

მათს შეჯიბრებასაც ჭეშმარიტად ახლის გრძნობა ახლავს. ისინი ერთმანეთს როდი უმალავენ მუშაობის მეთოდებს, იბრძვიან იმისათვის, რომ საერთო ძალით შექმნან მეტი დოვლათი ხალხისათვის, სამშობლოსათვის!

**გ. თათარიშვილი.**
სოფელი ალავერდი, ოქტომბერი.

## ნაბდები მეჯემსებისათვის

თელავი. (საკ. კორ.). თელავის მონადირეთა ამხანაგობას მოწყობილი აქვს ნაბდის დამამზადებელი სამქრო, რომელიც წარმატებით მუშაობს. წელს სამქროს მიერ გამოშვებული 900 ცალი ნაბადი გადაეცა ცეკავშირს მწყემსებისათვის მისაყიდად. წლის ბოლომდე კიდევ დამზადდება სამას ცალზე მეტი. თელავში დამზადებული ნაბდების ხარისხი კარგია.

ნაბდების სამქროში მომუშავენი ს. ლეკიშვილი, ნ. ზენიძე და ა. ისმაილოვი, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გეგმებს ორმაგად ასრულებენ.

## მშენებლობის შემდგომი პროგრესისათვის

მთელი საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული დიადი ამოცანებით და მოწოდებებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის გამო, აქტიურად ემზადება კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის.

ქუთაისავტომშენის ტრესტში შრომატევად პროცესებში კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ გამოყენებით თავი გამოიჩინა სპეციალურმა უბანმა, რომელსაც გამოცდილი სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ტატუნაშვილი ხელმძღვანელობს. ფეკალური კოლექტორის გამართვაზე ამ უბნის კოლექტივმა მიაღწია თვითღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას და ხელფასის ფონდის ეკონომიას თვეში 6.000 მანეთის რაოდენობით. ახლა მილების გაყვანის ყველა პროცესს ასრულებს სამი კაცი, მაშინ როცა წინათ ამას ოცი კაცი სჭირდებოდა.

საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე ფართოდ იქნა გამოყენებული ასაწყობი კონსტრუქციები. ქუთაისავტომშენს დამხმარე საწარმოების საკუთარი ბაზა აქვს. იგი წლითიწლობით ადიდებს ასაწყობი ელემენტების ნომენკლატურას.

თბოელექტროცენტრალის მშენებლობის პერიოდში ხუროების ოთხი ბრიგადა მუშაობდა № 1 საშხეფურის ფიცვრაზე. მთელი ეს პროცესი ორ თვეს გრძელდებოდა, რის შედეგად ტრესტმა ამ უბანზე დიდად გადახარჯა ხელფასის ფონდი, გაზარდა მშენებლობის თვითღირებულება.

ტრესტის კოლექტივმა გაითვალისწინა ეს ნაკლოვანებები და № 2 საშხეფურის აფიცვრაზე ახლა მექანიზმებსა და ასაწყობ ელემენტებს იყენებს. აფიცვრა ხდება ერთტონიანი ფარებით. ამ სამუშაოს თავისუფლად ჰყოფნის ხუროების ერთი ბრიგადა, მეორე ბრიგადა კი ფარებს ამზადებს. შრომის ასეთი ორგანიზაცია საშუალებას გვაძლევს ორნახევარჯერ შევამციროთ სამუშაოს შესრულების ვადა, ხოლო 40 პროცენტით — თვითღირებულება.

საბინაო მშენებლობაში ფართოდ არის გამოყენებული ბეტონის, რკინაბეტონის და ხის ასაწყობი კონსტრუქციები.

სუფთა ხის იატაკის დაგების დასაჩქარებლად ტრესტმა გადაწყვიტა გამოიყენოს საკუთარი წარმოების პარკეტული ფარები. მასობრივ მოვლენად იქცა სართულთა შორის და ჭერის გადახურვაში ხის კონსტრუქციების შეცვლა მსუბუქი მინქაფა რკინა-ბეტონით, რომელსაც ე. წ. სიმკარის ტიპის ფილა-კოჭები ეწოდება.

პირველად ამ ტიპის კოჭებს ჰქონდათ 40 სანტიმეტრი სიგანე და 2 სიგრძე. ამჟამად მზადდება შვიდღრუიანი სიმკარის ტიპის ფილები, რომელთა ფართობი 6 კვადრატულ მეტრს უდრის. ამ ფილებს ჩვენი ტრესტი უკვე მეხუთე წელია იყენებს.

ფართოდ არის დანერგილი მსუბუქი მინქაფისა ან წიდაბეტონისაგან გაკეთებული ლავგარდნის ასაწყობი ბლოკები და ერთ კვადრატულმეტრიანი სატიხრო ფილები. ამან შესაძლებელი გახადა ხის ტიხრების მთლიანად შეცვლა. მათი დამზადების დროს მნიშვნელოვანი რაოდენობით იხარჯება მაღალი მარკის ცემენტი. გადაწყდა მისი შეცვლა სხვა მასალით. ტრესტის სამშენებლო ლაბორატორიამ კირისა და წითელი აგურის ნარჩენებისაგან მიიღო ასეთი მასალა — დაბალი მარკის ცემენტი. აგვისტოდან ტრესტი უკვე ამზადებს თავის კირ-პუცოლანის დაბალი მარკის ცემენტს.

მშენებლობის თვითღირებულების შემცირების მიზნით ტრესტში ფართოდ იყენებენ კირის და ზეთის ემულსიას, რომელიც ცენტრალიზებულად მზადდება. ასეთი ემულსიის გამოყენების პერიოდში ტრესტმა 12.000 მანეთი ეკონომია მიიღო.

კარგი შედეგი მოგვცა ფანჯრის მინების ნარჩენების გამოყენებამ კედლების მოსაპირკეთებლად. ისინი ცვლიან თეთრ მოჭიქულ ფილებს. ეს მეთოდი ტრესტის სამშენებლო ლაბორატორიამ დაამუშავა. იგი სამჯერ ამცირებს სამუშაოთა შესრულების ვადებს. მოპირკეთებისათვის მინის ნარჩენების ხმარების შედეგად წლიური ეკონომია 109 ათას მანეთს აღწევს.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ფართოდ ვხმარობთ ბეტონის, რკინაბეტონის და მოზაიკის ასაწყობ ელემენტებს.

ტრესტის ერთ-ერთი დიდი დამხმარე საწარმოა აგურის მექანიზებული ქარხანა. მან 1955 წელს უნდა მოგვცეს 12 მილიონი ცალი წითელი აგური, ნაცვლად გასულ წელს გამოშვებული 9,5 მილიონისა. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, მექანიზებულია კარიერებში ალიზის გადამუშავება და აგურსაკეთებელი წნეხის ბუნკერებისათვის მიწოდება. საშრობი მეურნეობის გამტარუნარიანობის გასადიდებლად წარმატებით ვიყენებთ აგურის შრობის კარტავცევის მეთოდს. დანერგილია აგურის გამოწვა პ. დუვანოვის მეთოდით.

მოსაპირკეთებელ კერამიკულ ნაწარმთა ნომენკლატურის გასადიდებლად ტრესტი ახორციელებს მთელ რიგ კვლევით სამუშაოებს ნასვრეტებიანი აგურის გამოსაშვებად. ეს აგრეთვე საშუალებას მოგვცემს დავამზადოთ დიდი კერამიკული ბლოკები. ბეჯითად მუშაობს ტრესტის კოლექტივი ნედლი აგურისაგან დიდი საკედლე ბლოკების მიღებაზე, რომლებიც შემდეგ გამოიწვება. ამით საკედლე მასალის ხარჯვა 12 პროცენტით შემცირდება და საჭირო არ იქნება კირის ხსნარი.

ტრესტს განზრახული აქვს გამოუშვას მცირე დიამეტრის კერამიკული მილები კანალიზაციისათვის.

ახალი სამშენებლო ტექნიკის განვითარებასა და დანერგვაში მოპოვებულ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს ნაკლოვანებებიც. ტრესტს აქვს დამხმარე საწარმოების მძლავრი და სრულყოფილი მოწყობილობით აღჭურვილი ბაზა, რომლის კარგი გამოყენებით შეიძლება მივიღოთ დიდი ეფექტი.

ტრესტის მუშაობაში ვიწრო ადგილია უწინარეს ყოვლისა ფხვიერი მასალების — სილის, ცემენტის, ალებასტრის, ბალასტის და ხე-ტყის დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაციის მდგომარეობა, რაშიც უმთავრესად ბრალი მიუძღვის მანქანათსაქირავებელი ბაზის უფროსს ი. პოპოვს. სათანადო დონეზე ვერ დგას შელესვითი და სამღებრო სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია, თუმცა ტრესტს საამისოდ საჭირო ყველა მექანიზმი აქვს.

სხვა ნაკლოვანებებს შორის უნდა აღინიშნოს ის, რომ არ ხდება წითელი აგურის კონტეინერებით გადაზიდვა. ამ საქმეში ტრესტის ხელმძღვანელობასთან ერთად პასუხისმგებელია აგურის მექანიზებული ქარხნის დირექტორი გ. დარასელია, რომელმაც საკმაო შეუპოვრობა და მომთხოვნელობა არ გამოიჩინა ამ ღონისძიების განხორციელებისათვის.

ასეთსავე მდგომარეობაშია სასაქონლო ბეტონისა და ხსნარის ბუნკერული გადაზიდვა საბინაო მშენებლობაში, სადაც კოშკურა ამწევები დგას. მისი განხორციელება ბევრად შეამცირებს მშენებლობის თვითღირებულებას. რკინაბეტონისა და მოზაიკის ნაწარმის ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია იგი ლითონის ფორმებში მზადდებოდეს, მაგრამ ჯერჯერობით ტრესტში გავრცელებულია ხის ფორმები, სუსტად წარმოებს მუშაობა გაუმჯობესებულ ფორმებზე გადასვლისათვის.

ტრესტი ჩამორჩება ასაწყობი ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ნომენკლატურის მზრდ.

ქუთაისავტომშენის კოლექტივი ყველა ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ პირნათლად შეხვდეს ღირსშესანიშნავ მოვლენას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

**ვ. ბალათურია,**
ქუთაისავტომშენის ტრესტის სამშენებლო ლაბორატორიის გამგე.

## ახალი წიგნები

**ლ. ასათიანი** — ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან. სახელგამი, თბილისი, 1955 წ. ტირაჟი 5.000, გვ. 257, ფასი 6 მან. 55 კაპ.

**ქ. ბოგიაშვილი** — ჩვენი ბაღის სტუმრები. საბავშვო პიესების კრებული. საბლიტგამი, თბილისი, 1955 წ. ტირაჟი 7.000, გვ. 61, ფასი 4 მან. 25 კაპ.

**ა. შენგელია** — საბავშვო ლექსები და პოემები. საბლიტგამი, თბილისი, 1955 წ. ტირაჟი 7.000, გვ. 109, ფასი 3 მან. 10 კაპ.

**ს. ცაიშვილი** — ნიკო ავალიშვილი. მონოგრაფია. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1955 წ. ტირაჟი 3.000, გვ. 102, ფასი 6 მან.

# საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში

ჟენევა, 27 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ჟენევაში გაიხსნა საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც მოწვეულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ივლისის თათბირის გადაწყვეტილებით.

საბჭოთა კავშირი თათბირზე წარმოდგენილია დელეგაციით, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. დალესი, ინგლისის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. მაკმილანი, საფრანგეთის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. პინე.

ზუსტად 16 საათზე შუა ევროპის დროით თათბირის მონაწილენი თავიანთ ადგილებს იკავებენ ერთა სასახლის საბჭოს დარბაზში.

თათბირის მონაწილეებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელით მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის განყოფილების დირექტორი ა. პელტი. შემდეგ პირველი სხდომის თავმჯდომარე ა. პინე თათბირს ხსნის.

# ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ ყირიმში ჩავიდა

სევასტოპოლი, 26 ოქტომბერი. (საქდესი). ლამაზად მორთულია სევასტოპოლის აეროდრომი. ზღვის ნიავი არხევს წითელ ტილოებს, რომლებზეც რუსულ და ბირმულ ენებზე წარწერილია: „სალამი პრემიერ-მინისტრ უ ნუს, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ ანძებზე ფრიალებს ბირმის კავშირის, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმები.

ასობით სევასტოპოლელი, ქალაქის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მოვიდნენ ბირმელ სტუმართა შესახვედრად. შემხვედრთა შორის არიან უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ა. სლიპჩენკო, ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. გ. კუზმენკო, სევასტოპოლის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ს. ვ. სოსნიცკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მშრომელთა დეპუტატების ყირიმის საოლქო და სიმფეროპოლის საქალაქო საბჭოების დეპუტატები, კულტურის მოღვაწეები, ჟურნალისტები.

14 საათზე თვითმფრინავები სტუმრებით ძირს ეშვებიან. თვითმფრინავებიდან გამოდიან ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, მისი მეუღლე დო მია ი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი და მისი მეუღლე ქ-ნი ჩინი, პრემიერ-მინისტრის მდივანი უ ტამი, პოლკოვნიკი აუნგ ჯი, აგრეთვე უ ხლა და უ ნვე. მათთან ერთად სევასტოპოლში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შიბორინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. გ. კუზმენკო გულთბილად მიესალმა სტუმრებს.

უპასუხა რა მისალმებაზე, უ ნუმ თქვა:

— ბატონო თავმჯდომარევ! მეგობრებო!

თუმცა პირველად ვარ ამ მიწაზე, მაგრამ სევასტოპოლი უცნობი ქალაქი როდია ბირმისათვის.

სევასტოპოლს ძალიან კარგად იცნობენ ბირმაში მისი გმირებით, რომლებიც იცავდნენ მას მეორე მსოფლიო ომის დროს. ბირმის ხალხები დიდი ინტერესითა და აღტაცებით ადევნებდნენ თვალყურს სევასტოპოლის დამცველთა გმირულ ბრძოლას ნაცისტების წინააღმდეგ. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ კარგად წარმოიდგინოთ, რამდენად ვამაყობ ახლა, რომ აქ ვიმყოფები. სანამ მოსკოვს დავტოვებდი, ჩემმა მეგობრებმა იქ მითხრეს, რომ სევასტოპოლი ძალიან ლამაზი ქალაქია. როცა ჩვენ გადავუფრინეთ თქვენს ქალაქს, დავრწმუნდით, რომ იგი მართლაც ლამაზია. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე თქვენი ქვეყნის სხვა ქალაქები. ისინი ძალიან კარგებია.

დასასრულ უ ნუმ მადლობა გადაიხადა შეხვედრისათვის და რუსულად თქვა:

— მე ჩამოგიტანეთ ბირმის მშრომელთა სალამი. გმადლობთ!

აეროდრომიდან სტუმრები წავიდნენ ქალაქში. გზაში მათ მხურვალედ მიესალმებოდა ათასობით სევასტოპოლელი.

პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან ერთად სევასტოპოლში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ბირმელი ჟურნალისტები.

სევასტოპოლი, 26 ოქტომბერი. (საქდესი). პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს პანორამა „სევასტოპოლის დაცვა 1854-1855 წლებში“.

პანორამის ნახვის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი. მათ ნახეს ახალი სახლები ნახიმოვის პროსპექტზე, დიდ ზღვის ქუჩასა და ლენინის ქუჩაზე.

უფრო გვიან ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ ყირიმის სამხრეთ ნაპირზე.

გაზეთ „კრიმსკაია პრავდის“ რედაქტორმა მ. ს. კურიანოვმა ბირმელი ჟურნალისტების პატივსაცემად ვახშამი გამართა ლივადიის სასახლეში.

# ჟენევაში ჩავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთვალყურეთა დელეგაცია

ჟენევა, 26 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ საღამოს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირთან დაკავშირებით ჟენევაში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთვალყურეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი გეორგ ჰანდკე.

# ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირთან დაკავშირებით:

„სამი თვის წინათ სახელმწიფო მდივანი დალესი და მე და საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები ერთმანეთს შევხვდით ჟენევაში. როგორც მე თათბირის გახსნისას განვაცხადე, მიზანი იყო „შეგვექმნა ახალი სულისკვეთება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა გადაგვეწყვიტა მომავალში პრობლემები, რომელთათვისაც პასუხისმგებლობა ჩვენ გვაკისრია“.

მსოფლიოს იმედი აქვს, რომ ამ თათბირმა ნამდვილად შექმნა ეს ახალი სულისკვეთება.

მაგრამ როგორც დაბრუნების შემდეგ მე ამერიკელ ხალხს განვუცხადე, „გადამწყვეტი გამოცდა“ მოხდება, როცა საგარეო საქმეთა მინისტრები ჟენევის ჩვენი დირექტივის საფუძველზე კონკრეტულად დაიწყებენ მუშაობას ამ პრობლემებზე, რომლებისთვისაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ჩვენს ქვეყნებს და რომლებიც სანამ ისინი გადაჭრილი არ არის, დაძაბულობასა და საფრთხეს ქმნიან.

ხვალ ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრი ერთმანეთს შეხვდება ჟენევაში, რათა განაახლონ მუშაობა, რომელიც ჩვენ მიმდინარე წლის ივლისში შევწყვიტეთ. ისინი მონახავენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეიძლება გამოინახოს, თუ ეს ახალი სულისკვეთება ნამდვილად არსებობს. ამ ღონისძიებებში ყველაზე დიდმნიშვნელოვანია გერმანიის გაერთიანება ევროპის უშიშროების ფარგლებში.

სახელმწიფო მდივანი დალესი და მე ერთი აზრისა ვართ ამ საკითხებში. ჩვენ ხშირად განვიხილავს ისინი, და უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე მან და მე ერთად განვიხილეთ პოზიციები და წინადადებანი, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნები შეიტანენ ჟენევაში. მათი მიზანი იქნება ხელი შეუწყონ სამართლიან მშვიდობას, უშიშროების განმტკიცებას და ყველას კეთილდღეობას. ისინი ასახავენ შერიგებისა და თანხმობის ნამდვილ სულისკვეთებას. თუ საბჭოთა კავშირი ასეთივე სულისკვეთებით გამოვა, შეიძლება დიდ წარმატებათა მიღწევა. ასეთია ჩემი პირადი იმედი და, როგორც დარწმუნებული ვარ, ასეთია ამერიკელი ხალხის იმედი.

ჩვენ ყველანი გულდასმით ვადევნებთ თვალყურს ჟენევის ამბებს, რადგან ეს ამბები მნიშვნელოვანწილად ცხადყოფენ, მართლა ნიშნავს თუ არა „ჟენევის სულისკვეთება“ ნამდვილ ცვლილებას და მართლა მოჰყვება თუ არა მას ის მშვიდობიანი პროგრესი, რომელიც მთელ მსოფლიოს სწყურია“.

# სამხრეთი ვიეტნამი რესპუბლიკად გამოცხადდა

ლონდონი, 26 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, ნგო დინ დიემმა, დაეყრდნო რა ამ დღეებში მოწყობილი „რეფერენდუმის“ შედეგებს, დღეს სამხრეთი ვიეტნამი რესპუბლიკად გამოაცხადა.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

## 25 ოქტომბრის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა. სხდომამ განიხილა ოთხი რეზოლუციის პროექტი, რომლებიც ასამბლეას წარუდგინეს მისმა კომიტეტებმა.

ეკონომიურ და ფინანსურ საკითხთა კომიტეტის რეზოლუციის პროექტის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის აღდგენის ორგანოს გენერალური დირექტორის მოხსენების გამო საბჭოთა კავშირის დელეგაციამ წინადადება შეიტანა ცალ-ცალკე ეყაროს კენჭი პრეამბულის პირველ აბზაცს, რომელშიც ლაპარაკია გენერალური ასამბლეის წინანდელ რეზოლუციებზე ამ საკითხის შესახებ, და სარეზოლუციო ნაწილის პირველ პარაგრაფს, რომელშიც გამოთქმულია გენერალური დირექტორისადმი მადლობა შესრულებული მუშაობისათვის. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი და მთელი რიგი სხვა ქვეყნები წინააღმდეგი იყვნენ იმისა, რომ შექმნილიყო ეს ორგანო, რომლის საქმიანობაც მარტო სამხრეთ კორეაზე ვრცელდებოდა. პრეამბულის პირველი აბზაცის წინააღმდეგ ხმა მისცა ხუთმა დელეგაციამ, სარეზოლუციო ნაწილის პირველი პარაგრაფის წინააღმდეგ — რვა დელეგაციამ. მთლიანად რეზოლუციის მიღების დროს რვა დელეგაციამ თავი შეიკავა.

კენჭის უყრელად მიიღეს რეზოლუცია სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ.

შემდეგ ასამბლეა შეუდგა იმ რეზოლუციის განხილვას, რომელიც სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტმა წარადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის მოხსენების გამო.

კენჭისყრამდე სიტყვა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლიუბენსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია თავს შეიკავებს ამ რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრის დროს.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლტოლვილთა საკითხის გადაწყვეტის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს ნებაყოფლობის პრინციპის საფუძველზე სამშობლოში მათი რეპატრიაციის წახალისების პრინციპი. რეზოლუციის პროექტი არ აღნიშნავს ამ პრინციპს და არ ითვალისწინებს იმას, რომ ლტოლვილებზე გაძლიერებულ ზეგავლენას ახდენენ და ცრუ პროპაგანდით სურთ ხელი შეუშალონ მათს დაბრუნებას სამშობლოში.

ასამბლეისათვის წარდგენილი რეზოლუციის პროექტს ხმა მისცა 43 დელეგაციამ, თავი შეიკავა 15 დელეგაციამ.

კენჭისყრის მოტივების გამო ილაპარაკა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ი. მატულისმა. მან განაცხადა, რომ, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უკვე 10 წელზე მეტი გავიდა, ადგილგადანაცვლებულ პირთა და ლტოლვილთა პრობლემა, რაც ომის შედეგად წარმოიშვა, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გადაჭრილი, დღემდე მრავალი ადგილგადანაცვლებული პირი და ლტოლვილი მოწყვეტილია თავის სამშობლოს, აყრილი აქვს ბევრი უფლება და უზრუნველყოფილი არ არის სამუშაოთი, რის შედეგადაც ისინი მეტად მძიმე პირობებში იმყოფებიან.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნა ი. ი. მატულისმა, სავსებით უჭერს მხარს ადგილგადანაცვლებულ პირთა და ლტოლვილთა სამშობლოში ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპს. ლტოლვილი საბჭოთა მოქალაქეების სამშობლოში ასეთი დაბრუნებისათვის ხელის შესაწყობად ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირში მთელი რიგი საზოგადოებრივი და საკანონმდებლო ღონისძიებანი განხორციელდა ამნისტიის, სამშობლოში დაბრუნებულ ლტოლვილთა დაცვის და სამუშაოზე მოწყობის მხრივ, რათა მათთვის შეიქმნას თავისუფალი ცხოვრების ნორმალური პირობები. საბჭოთა მოქალაქეების — ადგილგადანაცვლებული პირებისა და ლტოლვილების სამშობლოში რაც შეიძლება მალე დაბრუნების მიზნით 1955 წლის 17 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჰუმანურობის პრინციპების საფუძველზე მიიღო ბრძანებულება „იმ საბჭოთა მოქალაქეების ამნისტიის შესახებ, რომელნიც ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში“. იმ მიზნით, რომ ამ მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა დაუბრუნდნენ პატიოსანი შრომით ცხოვრებას და გახდნენ საბჭოთა საზოგადოების სასარგებლო წევრები, ამ ბრძანებულებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ევალება განახორციელოს ღონისძიებანი, რათა გაუადვილდეს საბჭოთა კავშირში შესვლა ლტოლვილ საბჭოთა მოქალაქეებს, რომელნიც დღემდე საზღვარგარეთ იმყოფებიან, და მათი ოჯახის წევრებს, მიუხედავად მათი მოქალაქეობრიობისა, აგრეთვე მოაწყოს ისინი სამუშაოზე საბჭოთა კავშირში.

რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარი და მისი სამმართველო, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ ამ ძირითადი ამოცანის — სამშობლოში ლტოლვილთა უსწრაფესი ნებაყოფლობითი დაბრუნების ამოცანის გადასაწყვეტად, საბჭოთა დელეგაციამ თავი შეიკავა იმ რეზოლუციისათვის კენჭისყრის დროს, რომელიც იწონებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს მოხსენებასა და საქმიანობას.

დასასრულ გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა რეზოლუცია, რომლითაც რეკომენდებულია მიიღონ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა სამოქალაქო ავიაციის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციაში.

გამოვიდა რა ამ საკითხზე კენჭისყრის წინ, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია არ არის იმის წინააღმდეგი, რომ დაკმაყოფილდეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის თხოვნა სამოქალაქო ავიაციის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციაში მისი მიღების შესახებ და იმედი აქვს, რომ დაკმაყოფილდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ანალოგიური თხოვნა, თუ ასეთი თხოვნა შემოვიდა. რეზოლუცია მიღებულ იქნა კენჭისუყრელად.

## პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საქდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხებს, სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა კრიშნა მენონმა. მისი გამოსვლით დამთავრდა საერთო დისკუსია პირველ კომიტეტში ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხზე, რომელიც 7 ოქტომბრიდან გრძელდებოდა და რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40 დელეგაციამ.

ამის შემდეგ კომიტეტი შეუდგა განსახილველ საკითხზე შეტანილი რეზოლუციების პროექტების განხილვას. პირველმა სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა. სხდომის დასასრულს გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი პასტორე.

# სპორტის ამბები

## მსოფლიო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში

ჟენევა, 27 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ შვეიცარიაში დამთავრდა შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 17 ქვეყნის გუნდები. 5 სახეობის (ცხენოსნობა, ფარიკაობა, სროლა, ცურვა, დასერილ ადგილზე რბენა) შეჯიბრების შედეგად 1955 წლის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა კ. სალნიკოვმა, რომელმაც მოაგროვა 4.453,5 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ო. მანონენი (ფინეთი) — 4.305,5 ქულა, მესამეზე — ა. კოვაჩი (უნგრეთი) — 4.239[illegible] ქულა.

გუნდური მსოფლიო პირველობა მოიპოვეს უნგრელმა სპორტსმენებმა (12.407 ქულა). სსრ კავშირის გუნდმა (კ. სალნიკოვმა, ი. ნოვიკოვმა და ჰ. რაკიტიანსკიმ) მოაგროვა 11.942,5 ქულა და მეორე ადგილი დაიკავა. შემდეგ მოდიან შვეიცარიის, შვეციის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთის, რუმინეთისა და სხვ. გუნდები.

## ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

### დასკვნითი ტურების წინ

მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ბრძოლის შედეგი ჯერ კიდევ გამოურკვეველი არის.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები. სატურნირო ცხრილის სათავეშია სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. ვოლპერტი. მან ჩინებულ შედეგს მიაღწია — მოაგროვა 12 ქულა 15 შესაძლებელში. მეორე ადგილზე ვ. ბორისენკო, რომელმაც მოაგროვა 11,5 ქულა. კ. ზვორიკინას და ო. რუბცოვას თერთმეტ-თერთმეტი ქულა აქვთ. მაღალი საპრიზო ადგილის შანსებს ინარჩუნებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი ე. კელერ-ჰერმანი. მას ათი ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია აქვს. (საქდესი).

## სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

26 ოქტომბერს შედგა უკანასკნელი შეხვედრა მოსკოვში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე თამაშობდნენ მოსკოვის გუნდები „ცდსა“ და „ტორპედო“. მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 4:3.

ამრიგად, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელები გამოვიდნენ მესამე ადგილზე 31 ქულით. „ტორპედომ“ მოაგროვა 2[illegible] ქულა და მეოთხე ადგილზე.

* * *

26 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სსრ კავშირის თასი ფეხბურთში.

## თბილისისა და მოსკოვის ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური შეხვედრა

თბილისში დამთავრდა თბილისისა და მოსკოვის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა. შეჯიბრების პირობების მიხედვით ქალთა და ვაჟთა გუნდების შემადგენლობაში შედიოდა რვა-რვა სპორტსმენი. ჩათვლაში მიიღებოდა მათგან შვიდი უძლიერესი შედეგი. შეჯიბრება მიმდინარეობდა ტანვარჯიშის მრავალჭიდის ოსტატთა სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის მიხედვით.

შეჯიბრების პირველი დღიდანვე მოსკოველმა ტანმოვარჯიშე ქალებმა ხელთ იგდეს ლიდერობა და დაამთავრეს შეჯიბრება თავიანთ სასარგებლოდ როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერი პროგრამის მიხედვით. უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა მოსკოვის ტანმოვარჯიშე ვაჟთა გუნდმაც. ამრიგად, საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს მოსკოველებმა.

ინდივიდუალურ ჩათვლებში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. რუდკომ, ვაჟთა შორის — სპორტის ოსტატმა ვ. კულუმბეგაშვილმა (თბილისი). (საქდესი).

# გერმანიის საკითხის გადაჭრის გზები

დაახლოებით სამი თვის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს, სსრ კავშირისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებმა საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი დირექტივებში, რომლებიც მიიღო ჟენევის თათბირმა, აღნიშნეს, რომ „გერმანიის საკითხის გადაჭრა და გერმანიის გაერთიანება თავისუფალი არჩევნების საშუალებით უნდა განხორციელდეს გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისად“. განვლილ დროში სავსებით აშკარა გახდა, რომ არსებობს ორი მიდგომა ჟენევის თათბირის მიერ დასახული ამოცანისადმი.

ერთ-ერთი მათგანი ის არის, რომ ანგარიში არ გაუწიონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას, თავს მოახვიონ მის მოსახლეობას ისეთი „გაერთიანება“, რომელიც იმის მომასწავებელი იქნება, რომ მთელ გერმანიაზე გავრცელდეს დასავლეთ გერმანიაში არსებული პოლიტიკური რეჟიმი. ეს გზა აგრეთვე ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული გერმანია ჩაებას სამხედრო დაჯგუფებებში, რომელთა მონაწილეც ამჟამად არის გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა. „გერმანიის გაერთიანების“ ასეთ გზას მოითხოვენ, როგორც წესი, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრენი.

გერმანიის საკითხის გადაჭრის გზის შესახებ სხვა თვალსაზრისს ადგენენ „ჟენევის სულისკვეთების“ განმტკიცების მომხრენი. იცავენ რა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ძირითად დებულებებსა და არსს, ისინი ესწრაფვიან გერმანიის ისეთ გაერთიანებას, რომელიც გაითვალისწინებდა ახლანდელ პირობებში ორი გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის რეალურ არსებობას— და უზრუნველყოფდა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის ინტერესებს.

გერმანიის მოსახლეობა და ევროპის საზოგადოებრიობა გმობენ იმათ, ვინც ცდილობს გერმანიის პრობლემის არა გადაწყვეტას, არამედ ამ გადაწყვეტის ჩაშლას. გერმანელებისათვის მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე მათი სამშობლოს გაერთიანება არსებობის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამასვე მოითხოვს ევროპის მტკიცე მშვიდობის ინტერესები. აი ამიტომ გერმანიის პრობლემის გადაჭრის გზები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა წარადგინა და რომლებიც ემყარება რეალური ვითარების გონივრულ გათვალისწინებას, სულ უფრო მეტ მომხრეს პოულობს როგორც გერმანელებს შორის, ისე მთელ ევროპაში.

მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანების მიღწევა ადვილი საქმე როდია. ამას აბრკოლებს პარიზის სამხედრო შეთანხმებები და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შესვლა ნატო-ში. გაითვალისწინა რა ეს, საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა დაიწყონ საკითხის გადაჭრა სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნით. ჯერჯერობით ამ სისტემაში მონაწილეობის მიღება შეეძლებოდა ამჟამად არსებულ ორივე გერმანულ სახელმწიფოს. ეს ხელს შეუწყობდა არა მარტო ევროპის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას, არამედ ამჟამად არსებულ ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის განმტკიცებასაც. ამასთან სსრ კავშირი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის გაერთიანება უწინარეს ყოვლისა თვითონ გერმანელების საქმეა.

საბჭოთა კავშირმა არა მარტო დასახა ყველა დაინტერესებული ქვეყნისათვის მისაღები გადაწყვეტა გერმანიის პრობლემისა. სსრ კავშირმა პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელა ამ პრობლემის გადაჭრის გასაადვილებლად. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირმა მოახდინა ურთიერთობის ნორმალიზაცია გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან და მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ. ორივე ეს ღონისძიება ემსახურება ევროპაში უშიშროების განმტკიცების მიზნებს და მათ ხელი უნდა შეუწყონ გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენას. ამ მხრივ საგულისხმოა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „ხელშეკრულების დამდები მხარეები თანახმანი არიან, რომ მათი ძირითადი მიზანია სათანადო მოლაპარაკების გზით მთელი გერმანიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევა. ამის შესაბამისად ისინი მიიღებენ საჭირო ღონისძიებებს მშვიდობიანი სახელშეკრულებო მოწესრიგებისათვის და მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის“.

ყველა სახელმწიფოს რომ სსრ კავშირსავით გამოეჩინა მისწრაფება საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისადმი, გერმანიის გაერთიანების პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვნად გაადვილდებოდა. მაგრამ უკანასკნელი დროის ფაქტები მოწმობენ, რომ დასავლეთში და თვით ფედერალურ რესპუბლიკაში გაძლიერდა გამოსვლები, რომლებიც ეწინააღმდეგება „ჟენევის სულისკვეთებას“ და ამიტომ კი არ აახლოებს, არამედ აშორებს კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას და, მაშასადამე, გერმანიის გაერთიანებას.

ამას წინათ უცხოეთის პრესა იუწყებოდა, რომ დასავლეთის სამმა სახელმწიფომ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ერთად სეპარატულად შეიმუშავა სსრ კავშირთან გერმანიის საკითხზე ჟენევის მოლაპარაკების „თავისი გეგმა“. გაზეთები არც ამ გეგმის ძირითად დებულებებს ხდიან საიდუმლოდ. ინგლისის გაზეთი „დეილი ექსპრესი“ ამტკიცებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები „უშიშროების უზრუნველყოფის გეგმას“ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ სსრ კავშირი „დათანხმდება ამავე დროს ხელი მოაწეროს გერმანიის გაერთიანების გეგმას“. ამასთან გაზეთი არაორაზროვნად განმარტავს, რომ „გერმანიის გაერთიანების გეგმად“ ნამდვილად იგულისხმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შთანთქმის გეგმა.

ამ უაზრო იდეას, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია მილიტარისტულ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში მთელი გერმანიის შეყვანის გეგმასთან, თვით გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაშიც ადგას ზოგი ვინმე. „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული გერმანია მიიღებს გადაწყვეტილებას ატლანტიკის პაქტის სასარგებლოდ და არ აირჩევს ნეიტრალიტეტს, დასავლეთი გაიზიარებს რუსეთის მისწრაფებას უშიშროების უზრუნველყოფისადმი“, — წერს დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი“.

ამავე დროს დასავლეთ გერმანიაში გრძელდება მილიტარიზაციის პროცესი. დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებსა და მათ მფარველებს სურთ მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენონ გერმანიის მთელი მოსახლეობა და მსოფლიოს საზოგადოებრიობა და ამრიგად გადაუჭრან გზა გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას. დასავლეთ გერმანიაში აღადგენენ ვერმახტსა და სამხედრო-საზღვაო ძალებს. ბუნდესტაგი განიხილავს კანონს ჯარისკაცთა შესახებ. არ ნელდება მილიტარისტული და რევანშისტული პროპაგანდა. ამას წინათ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობასა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილე შვიდ ქვეყანას შორის დაიწყო მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოეთის ჯარები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებენ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიას როგორც თავიანთ ბაზას.

ყოველივე ეს სრულიადაც არ აადვილებს გერმანიის გაერთიანების პრობლემას! პრობლემის გადაჭრა იმის გამოც რთულდება, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მმართველი წრეების ბევრი წარმომადგენელი, რომელნიც უარყოფენ გერმანელთა შორის მოლაპარაკების შესაძლებლობას, აწყობს ობსტრუქციებს, ცდილობს ჩაშალოს ასეთი შეხვედრები.

მოლაპარაკების ჩაშლისა და ობსტრუქციების პოლიტიკა გერმანული რეაქციის წარმომადგენელთა ძველი ხერხია. ცნობილია, რომ ამ პოლიტიკას მიმართავდა 1920 წელს გერმანიის დელეგაციის მეთაური მოკავშირეებთან მოლაპარაკებაში — მრეწველობის მაგნატი სტინესი. ერთ-ერთი ობსტრუქციონისტული სიტყვის შემდეგ, რომელიც მან წარმოთქვა, პარიზის გაზეთ „მატენის“ კორესპონდენტმა ჰკითხა სტინესს: „იცით თუ არა, ბატონო სტინეს, რომ თქვენი სიტყვა შეიძლება მოლაპარაკების ჩაშლის მომასწავებელი იყოს?“. „ვიცი და გავითვალისწინე ეს“, უპასუხა სტინესმა.

სტინესები ახლაც საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ დასავლეთ გერმანიაში. ისინი ახალ პირობებში იყენებენ ძველ ტაქტიკას. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის წინ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა ფონ ბრენტანომ გამოაქვეყნა სტატია, რომელსაც მოურიდებლად გაუკეთა სათაურად: „დაძაბულობის საშიში შენელება“. ამ სტატიაში იგი არაორაზროვნად გამოდის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, მოითხოვს დასავლეთის სამხედრო ბლოკების განმტკიცებას, ესე იგი არსებითად გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგაა.

მაგრამ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მეტი წილი მოსახლეობისათვის ასეთი პოლიტიკა უცხოა. ისწრაფვიან რა, რომ შეიქმნას გერმანიის გაერთიანების პირობები, ისინი მოითხოვენ, რომ დასავლეთმა გერმანიამ უარი თქვას პარიზის შეთანხმებებზე და ნატო-ში მონაწილეობაზე, მტკიცედ მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ მოეწყოს მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. პარიზის შეთანხმებათა და ნატო-ში ფედერალური რესპუბლიკის მონაწილეობის წინააღმდეგია, კერძოდ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. დამახასიათებელია, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სწორედ ამ ლოზუნგებით მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება ბრემენის მხარის ლანდტაგის (ადგილობრივი პარლამენტი) არჩევნებში, რაც ოქტომბრის დამდეგს მოხდა.

დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური მოღვაწეები აყენებენ სხვადასხვა გეგმებს, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე უკეთ ემსახურება აღდგენის მიზნებს. მაგალითად, მოღვაწეთა ჯგუფმა, რომელშიც შედიან გადამდგარი პოლკოვნიკი ფონ ბონინი, ბუნდესტაგის დეპუტატი შტეგნერი და სხვ., წინადადება წამოაყენა შეიქმნას ახალი ორგანო — „გერმანიის საბჭო“, რომელიც, მათი აზრით, უნდა შედგეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან, აგრეთვე ნეიტრალურ წარმომადგენელთაგან. ამ ორგანოს ამოცანაა გერმანიის გაერთიანების ორგანიზაციული მომზადება. მეორე მოღვაწემ — დასავლეთ გერმანიის ცნობილმა პასტორმა მოხალსკიმ წინადადება წამოაყენა, რომ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ ერთად შექმნან „სრულიად გერმანიის დროებითი საბჭო“, რომელიც „პირველი რეალური ნაბიჯი“ იქნება გერმანიის გაერთიანების გზაზე.

დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა მიმართულების სულ უფრო მეტი გაზეთები გამოდიან იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ მონაწილეობა მიიღოს დასავლეთის სამხედრო ბლოკების სისტემაში, უწინარეს ყოვლისა ნატო-ში, ისინი მოითხოვენ მოეწყოს სრულიად გერმანიის მოლაპარაკება. „მოლაპარაკება აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობასთან ბონისათვის აუცილებელი და სასარგებლოა“, — წერს გაზეთი „გეზამტდოიჩე რუნდშაუ“. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ვესტდოიჩე ტაგებლატი“ ამას წინათ წერდა: „აშკარაა, ის გარემოება, რომ ბონი ნატოს ეკუთვნის, ხელს უშლის გაერთიანებას და ამით არ ემსახურება გერმანიის ინტერესებს“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გერმანელთა დიდ უმრავლესობას შეგნებული აქვს, რომ გერმანიის გაერთიანება შეიძლება მოხდეს საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელებისა და სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გზით, თვით გერმანელთა შორის მოლაპარაკების გზით. იმ წინადადებათა ძალას, რომ გერმანიის საკითხი ამ გზით გადაიჭრას, ის წარმოადგენს, რომ ეს წინადადებანი ითვალისწინებენ რეალურ ვითარებას და ასახავენ ყველა გერმანელისა და ევროპის ყველა ხალხის ინტერესებს.

ამასთანავე ეს წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა, არ ეწინააღმდეგებიან არც ერთი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს. მათი საფუძველია პრინციპები მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა ყველა ქვეყნებს შორის, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიური წყობილებისა.

ა. შატილოვი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება მთავარი რეჟისორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის
**ალექსანდრე რაჟდენის-ძე წუწუნავას**
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა მინადორა, მეუღლე თინა, შვილები მინორა, ზალიკო, ძმა იასე ოჯახით და ნათესავებით იუწყებიან
**კარლო ზაქარიას-ძე ცინცაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-X, 8 ს. გამოსვენება 30-X, 2 ს. ბინიდან, უნივერსიტეტის ქ. № 24.

დედა მარიამ, შვილები ჯემალ, ზურაბ, ძმა სანდრო იუწყებიან
**ანა გიორგის ასულ ჩარბაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-X, 8 ს. გამოსვენება 30-X, 5 ს. გორკის ქ. № 5.

მეუღლე თამარ, დები ცეცილია, ნინო ოჯახით იუწყებიან რესპუბლიკის სახალხო არტისტის
**ალექსანდრე რაჟდენის-ძე წუწუნავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-X, 8 ს. მარქსის მოედანი № 1.

მეუღლე მარიამ, შვილები თინა, დარეჯან, ხოსონა, ძმა გერმანე ოჯახებით იუწყებიან
**ნიკიფორე ფილიპეს-ძე ხომერიკის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-X, სოფ. ცხემლისხიდში (მახარაძის რაიონი).

დედა ეფროსინე, მეუღლე ვლადიმერ, შვილები ჯუმბერ, ნაზიკო, გიული, ძმა ვიქტორ იუწყებიან
**თებრო გიორგის ასულ კუბლაშვილი-დარსაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-X, 5 ს. ქ. ტყიბულში. გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქ. № 91.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი იუწყება
**კარლო ზაქარიას-ძე ცინცაძის**
გარდაცვალებას.

უე 06925

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.